პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

შაბათი, 9 დეკემბერი, 1950 წ. № 275 (8835). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

აიკრძალოს ახალი ომის პროპაგანდა! — „პრავდის" 8/XII მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვამაყობთ სოციალისტური სამშობლოთი (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცამეტე ტომი ქართულ ენაზე (1-ლი გვერდი).
კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები (მე-2 გვერდი).
ბ. თათარიშვილი — იქ, სადაც კენჭს იყრის დიდი სტალინი (მე-2 გვერდი).
პარტიულ კონფერენციებზე (მე-3 გვერდი).
ა. თომაძე — თიანეთი ამ დღეებში (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია (მე-3 და მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს ჩინეთის საჰაერო საზღვრები (მე-4 გვერდი).
ვიეტნამის სახალხო არმიის წარმატება (მე-4 გვერდი).

აიკრძალოს ახალი ომის პროპაგანდა!

ყველა ქვეყანაში ფართოდ ჩაღდება ბრძოლა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომლებსაც ყველგან მხურვალედ უჭერენ მხარს კეთილი ნების ადამიანები. ასობით მილიონი ადამიანი ერთსულოვნად უერთდება მეორე მსოფლიო კონგრესის მოთხოვნებს კორეაში ომის შეწყვეტის, აგრესიის დაგმობისა და აკრძალვის, ატომური, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური იარაღისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა აუცილებლად აკრძალვის, მთელი შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ.

მეორე მსოფლიო კონგრესის მოთხოვნათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გადაწყვეტილებას, რომელიც მოუწოდებს ახალი ომის პროპაგანდის აკრძალვისაკენ.

„ჩვენ მიგვაჩნია, — ნათქვამია კონგრესის მიმართვაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი,**—რომ ახალი ომის პროპაგანდა უდიდეს საფრთხეს უქმნის ხალხთა მშვიდობიან თანამშრომლობას და ერთ-ერთი უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინააღმდეგ.**

ჩვენ მივმართავთ ყველა ქვეყნის პარლამენტს მოწოდებით, რათა მიიღონ მშვიდობის დაცვის კანონი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ახალი ომის პროპაგანდისათვის, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი".

კონგრესის ამ მოწოდებაში განსახიერებულია მისწრაფება ასობით მილიონი უბრალო ადამიანისა, რომელთაც სძულთ ომი და მისი წამომწყებნი.

ახალი ომის გამჩაღებლები და მათი აგენტურა მსოფლიოს ყველა ხალხის უბოროტესი მტრები არიან. ომის ისტერიას აღვივებენ კაპიტალისტური სამყაროს მცირერიცხოვანი საფინანსო-სამრეწველო საქმოსნები, რომელთაც სამხედრო ავანტიურები თავიანთი გამდიდრების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად მიაჩნიათ. კაპიტალისტური ქვეყნების ამ ერთი მუჭა პარაზიტთა საამებლად წარმოებს ომისა და კაცთმოძულეობის აღვირახსნილი პროპაგანდა, ვრცელდება ხალხთა შორის მტრობის შხამიანი თესლი.

დანაშაულებრივი ომის პროპაგანდის ცენტრსა და კერას წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური მმართველი წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა გამხრწნელი საომარი პროპაგანდით მოუწამლონ მასებს შეგნება, გადააქციონ ისინი მსოფლიო ბატონობის თავიანთი გიჟური ავანტიურისტული გეგმების განხორციელების მორჩილ იარაღად.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა უდიდეს თანხებს ხარჯავს ომის პროპაგანდაზე. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ძალების წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის" საწარმოებლად იქმნება სპეციალური დაწესებულებანი, როგორიცაა, მაგალითად, მიმდინარე წლის ზაფხულში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შექმნილი „ფსიქოლოგიური სტრატეგიის სამმართველო". დიდი ტირაჟით გამოდის წიგნები, რომლებიც ქებას ასხამენ ომს, ძალადობას, ძარცვას. ათასობით გაზეთი, რომლებსაც გაზეთების მონოპოლიები უწევენ კონტროლს, ყოველდღიურად ეწევა გაბოროტებულ, ცილისმწამებლურ კამპანიას სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ. „ვაშინგტონ ტაიმს ჰერალდი", „დეილი ნიუსი", „რიდერს დაიჯესტი", „ლაიფი" და ამერიკის სხვა რეაქციული ჟურნალ-გაზეთები თავიანთ ფურცლებზე განუწყვეტლივ მოუწოდებენ ომის გაჩაღებისაკენ, სხვა ხალხთა დამონებისა და გაძარცვისაკენ. ფაშისტური იდეოლოგიის დანერგვის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა აგრეთვე ომის გამჩაღებელთა განკარგულებაში არსებული კინო და რადიო. კინოფილმები და რადიოგადაცემები ყოველდღიურად და ყოველ საათობით ქებას ასხამენ მკვლელებს, მოძალადეებს, განგსტერებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა იმპერიალისტურ სახელმწიფოებში მონოპოლისტი მესვეურები იდეოლოგიური ზემოქმედების ყველა საშუალებას იყენებენ ერთი მიზნისათვის: აღზარდონ მკვლელთა თაობა, რომლებიც მზად იქნებიან ჩაიდინონ ყოველგვარი დანაშაული უოლ-სტრიტის მაგნატების მძარცველურ სწრაფვათა განხორციელებისათვის. კორეაში ამერიკელ მძარცველთა და მოძალადეთა უმაგალითო ბოროტმოქმედება შეერთებული შტატების ახალგაზრდობისა და მოზრდილი მოსახლეობის გახრწნის იმ პოლიტიკის პირდაპირი შედეგია, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული ძალები გეგმაზომიერად ეწევიან.

ტრუმენმა, მაკარტურმა, ჰარიმანმა და ამერიკის მთავრობაში უოლ-სტრიტის სხვა აგენტებმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ლისინმანელთა ხროვის თავდასხმა, რაც თვითონვე პროვოკაციულად გამოიწვიეს, გამოიყენეს იმის საბაბად, რომ ამერიკის ჯარების ავაზაკური სამხედრო ლაშქრობა მოეწყოთ კორეაში და ჩინეთის წინააღმდეგ აგრესია განეხორციელებინათ კუნძულ ტაივანზე. დამარცხებებს, რომლებსაც ამჟამად ამერიკის არმია კორეაში განიცდის, ტრუმენი და კომპანია იყენებენ აგრესიის შემდგომი გაფართოების, უფრო აღვირახსნილი სამხედრო ავანტიურების გაჩაღების ახალ საბაბად.

ტრუმენს ესაჭიროება ომი და არა მშვიდობა. სწორედ ამიტომ მოსდის მას ახალი ომის ისტერია. თავის 30 ნოემბრის განცხადებაში ამერიკის პრეზიდენტი კვლავ გააფთრებით მოითხოვდა „უაღრესად სწრაფი ტემპით" გავადიდოთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და მარშალიზებული ქვეყნების სამხედრო ძლიერებაო. ტრუმენმა განაცხადა, რომ კორეაში წარმოებულ თავის იმპერიალისტურ მაქინაციებს განაგრძობს ჩინეთის მიმართაც.

ტრუმენის მაგალითისამებრ აჩესონი, დალესი, ოსტინი და ომის სხვა ამერიკელი გამჩაღებლები უფრო გააფთრებით მოუწოდებენ აგრესიის გაფართოებისაკენ, იმასაც კი არ ერიდებიან, რომ თავიანთი დანაშაულებრივი პროპაგანდისათვის გამოიყენონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნა.

ომის ისტერიის მორიგი შეტევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთხელ კიდევ ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწოდება იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ახალი ომის პროპაგანდა და მიღებულ იქნას კანონები, რომლებიც ითვალისწინებენ დასჯას ომის პროპაგანდისათვის.

მსოფლიოს ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, კაცობრიობის კულტურის მომავალი მტკიცედ მოითხოვს, რომ გადაჭრით მხილებულ იქნან და აილაგმონ ომის გამჩაღებლები, ყოველნაირად განმტკიცდეს მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი.

მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის დიდ შთამაგონებელს ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ ახალი ომის გამჩაღებლები და რომ ამ საფრთხის დასაძლევად **„საჭიროა მხილებულ და ალაგმულ იქნან ახალი ომის გამჩაღებლები".** მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და სიმშვიდის შენარჩუნებისათვის, წერდა ამხანაგი სტალინი 1946 წლის მარტში, აუცილებელია, რომ **„საზოგადოებრიობამ და სახელმწიფოთა მმართველმა წრეებმა მოაწყონ ფართო კონტრპროპაგანდა ახალი ომის პროპაგანდისტების წინააღმდეგ და მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, რათა ახალი ომის პროპაგანდისტების ყოველ გამოსვლას ჯეროვანი წინააღმდეგობა გაეწიოს საზოგადოებრიობისა და პრესის მხრივ, რათა, ამრიგად, დროულად იქნან მხილებულნი ომის გამჩაღებელნი და არ მიეცეთ მათ საშუალება სიტყვის თავისუფლება ბოროტად გამოიყენონ მშვიდობის ინტერესების წინააღმდეგ".**

საბჭოთა კავშირს, რომელიც ერთგულია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკისა, არაერთხელ მტკიცედ მოუთხოვნია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, რომ საჭიროა დაიგმოს და სისხლის სამართლის სასჯელის შიშით აიკრძალოს ომის პროპაგანდა, რა ფორმითაც უნდა წარმოებდეს იგი. საბჭოთა კავშირის ამ მშვიდობისმოყვარე წინადადებებს მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

მსოფლიოს ყველა ხალხის წარმომადგენლები ვარშავის კონგრესზე მტკიცედ მოითხოვდნენ, რომ აილაგმონ ახალი ომის გამჩაღებლები და პროპაგანდისტები, რომ აიკრძალოს მათი დანაშაულებრივი საქმიანობა, რომელიც საფრთხეს უქმნის მშვიდობას და მილიონობით ადამიანის სიცოცხლეს. კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ის, ვინც ამტკიცებს „ომი აუცილებელიაო", ცილს სწამებს კაცობრიობას".

ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ კონგრესის მხურვალე მოწოდებას მთელი მსოფლიო გამოეხმაურა. ხალხები მტკიცედ მოითხოვენ, რომ გაუვნებლდეს იმპერიალისტი მახინჯების ხროვა, რომელიც ცდილობს გააღვივოს საყოველთაო ომის ხანძარი.

მილიონობით კეთილი ნების ადამიანის მისწრაფებას მტკიცედ დაიცვან მშვიდობა, მოწმობს ხალხთა რისხვის ძლიერი ტალღა, რომელიც ყველა ქვეყანას მოედო ომის გაჩაღების შესახებ ტრუმენის 30 ნოემბრის განცხადებასთან დაკავშირებით. მსოფლიოს ყველა ხალხი, ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცე პროტესტს აცხადებს გათავხედებული ამერიკელი ავანტიურისტების სამხედრო მუქარის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალი ომის ისტერიის საპასუხოდ თავისუფლებისმოყვარე ხალხები უფრო გააძლიერებენ ბრძოლას მშვიდობის დასაცავად.

„მშვიდობას კი არ უნდა ველოდოთ, არამედ ბრძოლით მოვიპოვოთ" — მეორე მსოფლიო კონგრესის ამ საბრძოლო მოწოდებამ მშვიდობის დიადი საქმის გამარჯვების ურყევი რწმენა ჩაუსახა გულში მილიონობით უბრალო ადამიანს. ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლას ახლა ეწევიან მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი, ორგანიზებული ძალები.

მშვიდობის მომხრეთა პირველ რიგებში, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, არის და კვლავაც იქნება გმირი საბჭოთა ხალხი, რომელსაც წინ მიუძღვის მთელი მოწინავე კაცობრიობის ბრძენი ბელადი, მშვიდობის დიდი მედროშე ამხანაგი სტალინი.

„პრავდის" 8-XII მოწინავე

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩოხატაურ-ბახმაროს გზის მშენებლობის სამუშაოებზე

ჩოხატაურ-ბახმაროს გზის მშენებლობის საქმეში დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით, დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ანთაძე იუსუფ მევლუდის-ძე
2. ანთიძე გრიგოლ გაბრიელის-ძე
3. ბაქანიძე დიმიტრი ნესტორის-ძე
4. ბაქრაძე ვლადიმერ ერასტის-ძე
5. ბაღდავაძე სამსონ ექვთიმეს-ძე
6. ბოლქვაძე ტასი სპირიდონის-ძე
7. ბრეგვაძე ამბროსი თევდორეს-ძე
8. ბურჭულაძე ირაკლი მირიანის-ძე
9. გოგუაძე ისაკ მათეს-ძე
10. გუჯაბიძე ელისე თომას-ძე
11. დოლიძე თომა ანტონის-ძე
12. დოლიძე ნოე იოსების-ძე
13. დუმბაძე ვლადიმერ ევსეის-ძე
14. ვასაძე კარლ პავლეს-ძე
15. თავაძე იულია კირილეს ასული
16. თავბერიძე ლევარსი მერაბის-ძე
17. კალანდარიშვილი ივანე ბათლომეს-ძე
18. კეკელია აკაკი ილიას-ძე
19. კვაჭანტირაძე შოთა მელიტონის-ძე
20. კვაჭაძე გერონტი ევსეის-ძე
21. კვაჭაძე ეპიფანე ერმილეს-ძე
22. კობიძე ბესარიონ გიორგის-ძე
23. კუკულაძე კალისტრატე პორფილეს-ძე
24. მახარაძე ვალერიან გიორგის-ძე
25. მგალობლიშვილი ანდრია სოლომონის-ძე
26. მეფარიშვილი სერგი გიორგის-ძე
27. მსხილაძე რომან გაბრიელის-ძე
28. ქლენტი სამსონ ილარიონის-ძე
29. სალუქვაძე თევდორე ედიშერის-ძე
30. სანიკიძე გიორგი ირაკლის-ძე
31. სვანიძე დავით დეზიკის-ძე
32. ტიკარაძე კასიან ივანეს-ძე
33. ტოტოჩავა პავლე თედორეს-ძე
34. ტუღუში კარლ ნესტორის-ძე
35. ფანჯაკიძე ალექსანდრე მათეს-ძე
36. ფილია სანდრო ნიკიფორეს-ძე
37. ქემოკლიძე შალვა ნიკოლოზის-ძე
38. ღლონტი არტემ თომას-ძე
39. ღლონტი ილია ნიკოლოზის-ძე
40. ყაჭეიშვილი გიორგი თომას-ძე
41. შავიშვილი მატრონა იასონის ასული
42. ჩიკაშუა შერმანდი ბესარიონის-ძე
43. ჩხიკვაძე გოჯასპი ჯაბულოს-ძე
44. ხავთასი მელიტონ ვასილის-ძე
45. ჯიბუტი შალვა ამბაკოს-ძე
46. ჯორბენაძე ხარიტონ კონსტანტინეს-ძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ეგნატაშვილი**

ქ. თბილისი. 1950 წლის 6 დეკემბერი.

ქალაქ მოსკოვის სტალინის რაიონში

ვამაყობთ სოციალისტური სამშობლოთი

სტალინური კონსტიტუციის დღეს განსაკუთრებით დიდი გამოცოცხლება იყო სტალინის რაიონში, სადაც მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის დიდი შემოქმედი.

რაიონის ათეულ ათასობით მშრომელი სასიხარულო შეხვედრას ამზადებდა ამ დიდი დღისათვის. საამქროებში, ლაბორატორიებში, სასწავლებლებში ადამიანები დამკვიდრებული სახელოვანი ტრადიციისამებრ სტახანოვურ ვახტზე იდგნენ. ათი ათასი აგიტატორი ესაუბრებოდა ამომრჩევლებს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შესახებ. მხატვრული თვითმოქმედების ათასობით მონაწილე ამზადებდა სპეციალურ საკონცერტო პროგრამებს.

დღესასწაულის წინადღეს საქარხნო მრავალტირაჟიანი გაზეთები, ათასობით „ელვა" და პლაკატი, რომლებიც გაკრული იყო საამქროთა მალებზე, იუწყებოდა ახალი შრომითი გამარჯვების შესახებ.

სატრანსფორმატორო ქარხანაში სტალინური კონსტიტუციის დღისათვის დავალება პირველმა შეასრულა ვიქტორ იზოსიმოვის ბრიგადამ.

ვიქტორ იზოსიმოვი. სწორედ მისი აღფრთოვანებული სიტყვა მოისმინა 11 ნოემბერს რადიოთი მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, ათასობით ელექტროქარხნელთან ერთად, რომლებიც მოვიდნენ კრებაზე, რათა დაესახელებინათ მოსკოვის საოლქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი კანდიდატი.

ათასობით ადამიანის ტაშის გრიალში ახალგაზრდა სტახანოველმა წინადადება შეიტანა დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულ იქნას დიდი სტალინი.

გამოვიდა რა კრებაზე, ვიქტორ იზოსიმოვმა ვალდებულება იკისრა, თავდადებული სტახანოვური შრომით განამტკიცოს მშვიდობის საქმე.

სამშობლოს მგზნებარე პატრიოტმა, სტახანოველმა ნოვატორმა ბრიგადაში მასთან მომუშავე ამხანაგებთან ერთად სახელოვნად შეასრულა ბელადისათვის მიცემული სიტყვა. მან ომისშემდგომი ხუთწლედის დაწყებიდან შეასრულა 25-ე წლიური დავალება.

ათასობით ელექტროქარხნელი, ისევე როგორც ვიქტორ იზოსიმოვი, ღირსეულად შეხვდა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

რაიონის რამდენიმე ათეულმა საწარმომ სტალინური კონსტიტუციის დღისათვის შეასრულა წლიური გეგმა. მათ შორის არიან მოსკოვის საჰაერო ქარხნის სახელოვანი კოლექტივი, ლეპსეს სახელობის ქარხნის, ფაბრიკების, „კრასნი ვოსტოკის" და „ოსვობოჟდიონი ტრუდის" კოლექტივები და მრავალი სხვები.

სამშობლოს, დიდი სტალინის წინაშე ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესრულების შეგნებით აღფრთოვანებული ასობით ელექტროქარხნელი და შჩერბაკოვის სახელობის კომბინატის ფეიქრები შეიკრიბნენ 5 დეკემბერს საღამოს მოსკოვის საბჭოს სახელობის თეატრის მშვენიერ დარბაზში, სადაც დაიდგა სპექტაკლი „განთიადი მოსკოვში".

გაცხოველებული მუშაობა იყო აგიტპუნქტებში. აი № 1 აგიტპუნქტი, რომელიც მოთავსებულია პიონერთა სახლის ერთ-ერთ დარბაზში. მის გვერდით — მოსკოვის საოლქო საბჭოს არჩევნების სტალინის № 2 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის ოთახია. ამ ოლქში 17 დეკემბერს ხმას მისცემენ დიდი სტალინის კანდიდატურას.

სტალინური კონსტიტუციის დღისათვის აგიტპუნქტში გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთის ახალი ნომერი, სადაც ამომრჩევლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებსა და მისწრაფებებს.

ახალგაზრდა ამომრჩეველი კ. ნ. პროსკურიაკოვი წერს: „1949 წელს დავამთავრე ტექნიკუმი და მუშაობა დავიწყე ელექტრონათურის ქარხანაში. ამჟამად მე უკვე საამქროს მექანიკოსად ვმუშაობ. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია შესაძლებელი ახალგაზრდობის ასეთი ზრდა. საბჭოთა ხალხისათვის უცნობია უმუშევრობა და სიღატაკე. ჩვენ დამშვიდებულად ვშრომობთ, შრომა ჩვენს ქვეყანაში — ღირსების, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმეა. სტალინური კონსტიტუციის დღეს მე უღრმეს მადლობას ვუძღვნი ამ კონსტიტუციის შემოქმედს, ძვირფას ამხანაგ სტალინს".

ასეთი გულწრფელი წერილები ბევრია ამ კედლის გაზეთში.

მაგიდას ბევრი ახალგაზრდა ქალვაჟი უზის, რომლებიც 17 დეკემბერს პირველად მისცემენ ხმას. აი კონსტრუქტორთა ბიუროს ახალგაზრდა ზეინკალი იგორ დმიტრიევი. მისი მამა დიდი ბელადის სახელობის მოსკოვის სახელოვანი დივიზიის რიგებში იბრძოდა და დაიღუპა სამშობლოსათვის ბრძოლაში სამამულო ომის ფრონტზე. იგორი როდი დაობლდა. სახელმწიფო ეხმარება დედამისს ბავშვების აღზრდაში. მას აძლევენ პენსიას. იგორი მიიღეს სახელოსნო სასწავლებელში, სადაც იგი სწავლობდა და იზრდებოდა სახელმწიფოს სრულ კმაყოფაზე. ამჟამად იგი კვალიფიციური სტახანოველი ზეინკალია. მუშაობს და სწავლობს საღამოს საშუალო სკოლაში. იგი მოუთმენლად მოელის 17 დეკემბერს, რათა ხმა მისცეს დიდ სტალინს, ლენინ-სტალინის საქმეს, რომელსაც თავი შესწირა მისმა მამამ.

ანატოლი კურიანოვი სიამაყით ამბობს, რომ იგი მესამეჯერ აძლევს ხმას მშობლიურ ამხანაგ სტალინს. იგი სიხარულით აცხადებს, რომ მოსკოვის საჰაერო ქარხანაში, სადაც იგი ზეინკლად მუშაობს, შეასრულა წლიური გეგმა. ანატოლი კურიანოვი უკვე მეექვსე თანრიგის ხელოსანია.

ასეთია ახალგაზრდა სტალინური თაობა, რომელსაც გახსნილი აქვს ცოდნის ბრწყინვალე მწვერვალების, შემოქმედებითი შრომის ბედნიერების ყველა გზა.

ანატოლი კურიანოვი, გამოთქვამს რა თავის ამხანაგების აზრებსა და გრძნობებს, აღფრთოვანებით ამბობს:

— როგორ არ უნდა ვიამაყოთ ჩვენი მშვენიერი ძლევამოსილი სამშობლოთი! უდიდესი სიხარულით, როგორც დიდ დღესასწაულს, მოველით 17 დეკემბერს, რათა ხმა მივცეთ ამხანაგ სტალინს.

დიდძალი ხალხი იყო გვიანამდე აგიტპუნქტში, ისე, როგორც კლუბებში, თეატრებსა და ქუჩებში.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცამეტე ტომი ქართულ ენაზე

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოუშვა ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცამეტე ტომი.

თარგმანი შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა.

გამოცემის ტირაჟია 20 ათასი ეგზემპლარი.

ვ. ი. ლენინის თხზულებათა მეცამეტე ტომი შეიცავს ნაწარმოებებს, რომლებიც დაწერილია 1907 წლის ივნისიდან 1908 წლის აპრილამდე.

სტატიების — „ბოიკოტის წინააღმდეგ", „პუბლიცისტის შენიშვნები", „რევოლუცია და კონტრრევოლუცია", „მესამე სათათბირო", „პოლიტიკური შენიშვნები", „ახალი აგრარული პოლიტიკა" — საგანია პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგდროინდელი რუსეთის პოლიტიკური მდგომარეობის ანალიზი და შეფასება და რეაქციის ეპოქაში პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანების განსაზღვრა. ამ სტატიებში, ისევე როგორც რსდმ პარტიის პეტერბურგისა და სრულიად რუსეთის კონფერენციებზე წარმოთქმულ სიტყვებში, რომლებიც ამ ტომში შევიდა, ლენინმა ჩამოაყალიბა აგრეთვე სათათბიროს მიმართ ბოლშევიკების ტაქტიკის ამოცანები ახალ ეტაპზე.

ტომში შევიდა ლენინის უმნიშვნელოვანესი ნაშრომები აგრარულ საკითხზე „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები" (თავები X-XII) და „სოციალ - დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთის 1905-1907 წლების პირველ რევოლუციაში".

ტომში შეტანილია „წინასიტყვაობა" ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა პირველი, სამტომიანი კრებულისა „12 წლის მანძილზე", რომლის სრულად გამოცემის განხორციელება ვერ მოხერხდა ცენზურის მხრივ დევნის გამო. ეს წინასიტყვაობა წარმოადგენს რევოლუციური მარქსიზმისათვის ლიბერალიზმისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ ლენინის ბრძოლის ისტორიის მოკლე ნარკვევს.

ტომში შედის სტატია „პროფესიულ კავშირთა ნეიტრალობა". ამ სტატიაში ლენინი აკრიტიკებს პლეხანოვისა და მენშევიკების ოპორტუნიზმს, რომლებიც ცდილობდნენ რუსეთის მუშათა მოძრაობა ტრედიუნიონიზმის გზით წარემართათ.

ორ სტატიაში ერთი სათაურით — „შტუტგარტის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესი" — ახსნილია ლენინის, ბოლშევიკების ბრძოლა ოპორტუნიზმის წინააღმდეგ საერთაშორისო მუშათა მოძრაობაში. ამ სტატიებში მხილებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატების გადახვევა რევოლუციური მარქსიზმის პოზიციებიდან.

ტომში იბეჭდება ვ. ი. ლენინის თხზულებებში პირველად შეტანილი: პროექტი რსდმ პარტიის მესამე („სრულიად რუსეთის მეორე") კონფერენციის რეზოლუციისა III სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის საკითხზე, „მონახაზი რეზოლუციის პროექტისა პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის ყრილობის შესახებ", შენიშვნა „პლეხანოვის სტატიის შესახებ", „პროლეტარის" რედაქციის განცხადება".

„პროფესიული კავშირებისადმი პარტიის დამოკიდებულების შესახებ" ვოინოვის (ა. ვ. ლუნაჩარსკის) ბროშურის წინასიტყვაობაში", რომელიც აგრეთვე პირველადაა შეტანილი თხზულებებში, ლენინი ილაშქრებს პროფკავშირთა „ნეიტრალობის" ლოზუნგის წინააღმდეგ და აღნიშნავს პარტიასთან პროფკავშირების დაახლოების აუცილებლობას პროლეტარიატის სოციალისტური შეგნების განვითარებისა და რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის სულისკვეთებით მისი აღზრდის მიზნით.

ვ. ი. ლენინის წიგნი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია" იაკუტურ ენაზე

იაკუტსკი, 3 დეკემბერი. (საკდესი). იაკუტიის ასს რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობამ იაკუტურ ენაზე ცალკე წიგნად გამოუშვა ვ. ი. ლენინის ნაშრომი „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია". იაკუტურ ენაზე წიგნი პირველად ითარგმნა.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია მოსკოვში

6 დეკემბერს მოსკოვს ჩამოვიდა მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მონაწილეთა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატთა მეორე ჯგუფი დელეგაციის ხელმძღვანელ გო მო-ჟოს მეთაურობით.

კიევის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე პროფესორი ა. ი. დენისოვი, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარე მწერალი ნ. ს. ტიხონოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის, სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის წარმომადგენლები, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვან ძია-სიანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები. (საკდესი).

ქირურგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის პლენუმი

6 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა ქირურგთა საკავშირო სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის მესამე პლენუმი.

მოხსენება თემაზე „ი. პ. პავლოვის მოძღვრება ქირურგიაში" გააკეთა პროფესორმა ა. ა. ვიშნევსკიმ.

პლენუმი მოისმენს 30-მდე მოხსენებას სპეციალურ თემებზე. (საკდესი).

თბილისში ჩამოვიდა ავსტრალიის დელეგაცია

მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა დიდი ჯგუფი ავსტრალიის დელეგაციისა, რომელიც მონაწილეობას იღებდა მშვიდობის მომხრეთა ვარშავის მეორე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში.

ავსტრალიის დელეგაციის შემადგენლობაში არიან პროფკავშირული მოღვაწეები ჯონ მორის ჰიუზი, ჯეიმს ჰილი და ერნესტ სმიტი, მუშები ტომას რობერტსონი, გორდონ ჰორნი, უოლეს ო'ბრაიენი და რობერტ ბაუმანი, საზოგადო მოღვაწეები დესმონდ იტონი, მარგარეტ ბარ'ი და ელიოტ ჯონსონი.

დელეგაციას შეხვდნენ უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კომუნისტების და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების სათანადო საარჩევნო ოლქების საოლქო საარჩევნო კომისიებმა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრაციაში გაატარეს:

თბილისის გარეუბნის რაიონი

ელენე სოლომონის ასული სამკჟავაშვილი — მარტყოფის სოფლი სამუშაოლო სკოლის ქედაგოგი, **ირაკლი ნიკოლოზის-ძე ივანიშვილი** — სოფელ მარტყოფის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მიხეილ ანტონის-ძე ბერეკაშვილი** — მარტყოფიანს მტს-ის კომბაინერი, **შალვა თედორეს-ძე ისელიძე** — მარტყოფის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, **ალექსანდრე ისაკის-ძე მიგრიაული** — მშრომელთა დეპუტატების თბილისის გარეუბნის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, **ირა ივანეს-ძე ბეჟანიშვილი** — სამეორწყალმშენის მუშა, **მარიამ ანტონის ასული ჭიჭინაძე**—ნორიოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, **ანდრია ალექსის-ძე გაბუნია** — სამეორწყალმშენის მმართველი, **ოთარ ალექსანდრეს-ძე ბაგრიანე** — ნორიოს ბორეულის კატორის მუშა, **აიტ ზაქარიას-ძე ყიფიშიძე** — სამეორწყალმშენის მთავარი ინჟინერი, **ნინო ივანეს ასული ჯაფაშვილი** — სოფელ დიდი ლელოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ნინო მიხეილის ასული ვარდანიშვილი** — სოფელ ჭალდანის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ალადიმერ დიმიტრის-ძე კობახიძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონმის პირველი მდივანი, **ისე მიხეილის-ძე სიხარულიძე** — ავჭალის ფოლად-თუჯის სამსმელო ქარხნის დირექტორი, **ეკატერინე გიორგის ასული ბელენიძე** — სოფელ ავჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **თამარ ვასილის ასული მამინოშვილი** — ავჭალის შუშის ქარხნის ინჟინერ-ნორმადმყარი, **ვლადიმერ ლუკას-ძე გიორგობიანი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონმის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, **მარიამ გიორგის ასული სოხოიანი** — სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **გიორგი დიმიტრის-ძე მიჩეულაშვილი** — სოფელ დიღმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ილია ვლადიმერის-ძე მარიანაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონმის მდივანი, **ევსტროფი მალაქიას-ძე ყიუაშვილი** — გამწვანების ტრესტის მმართველი, **ეკატერინე დავითის ასული ფალავანდიშვილი** — სოფელ ლისის კეთილშობილის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **მარიამ ალექსის ასული ოქტაშვილი** — სოფელ წყნეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ბაბილინა ვასილის ასული კეკანაძე** — სოფელ წყნეთის საექიმო პუნქტის გამგე, **გრიგოლ იასონის-ძე თავზარაშვილი** — გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, **ორტემ ერმილეს-ძე კაკაბაძე, არჩილ ივანეს-ძე კორახაშვილი** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის გარეუბნის რაიონმის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე, **მარიამ ილარიონის ასული ქოროლიშვილი** — სოფელ წავკისის ორკლინიკის სახელობის კოლმეურნეობის წევრი, **ვეფრა მინას ასული რონინაშვილი** — სოფელ თელეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **არშავ სოლომონის-ძე ფალიანაკი** — სოფელ ეკიმისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **მარგარიტა ალექსანდრის ასული ლადიანა** — თელეთის მტს-ის უხნის აგრონომი, **გიორგი გიორგის-ძე კირეულაშვილი** — სოფელ სოფლნლელის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, **ლარისა მიხეილის ასული კაციტაძე** — საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომბატების სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე.

მოწინავე სტახანოველი ქალი

პატიოსანი და თავდადებული შრომით ტატანა მეტრეველი თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის კოლექტივში დიდი სიყვარულით და პატივისცემით დაიმსახურა. მან ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო 1947 წელს. პირველ ხანებში ახალგაზრდა სპეციალისტ ქალი, რომელსაც ქმარი სამამულო ომის ფრონტზე დაეკუბა, რიგით მუშად მუშაობდა. საღამოობით ინ ტექნიკუმის შემსწავლელ წრეში სწავლობდა. მალე ამხ. ტ. მეტრეველი საუკეთოდ დაეუფლა გამომკვლევის რთულ პროფესიას.

სპეციალისტ ქალმა გაიარ-ძიეა მუშაობა ომის შემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად. იგი გამუდმებით სტახანოვურ ვახტზე დგას და ყოველდღიურ დავალებას 125-140 პროცენტით ანაღდებს, მუყაოთი შრომით სახელმწიფოს ათასობით მანეთის ეკონომია მისცა და მოწინავე სტახანოველის სახელი დაიპყრო.

უპარტიო ბოლშევიკი ტატიანა მეტრეველი საზოგადოებრივ მუშაობაშიც სამაგალითოა.

ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკოსთა წინასწარჩეული კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერთსულოვნად დაასახელა ტატიანა ამბაკოს ასული მეტრეველი. ამხ. მეტრეველის კანდიდატურა რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 300 საარჩევნო ოლქში.

სურათზე: თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ტატიანა მეტრეველი

ამხანაგი ტატიანა მეტრეველი კომფენსტებისა და უპარტიორების სტალინური ბლოკის ღირსეული კანდიდატია.

ა. გამყრელიძე

წარჩინებული მშენებელი

რუსთაველს მშრომელთა საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს მოწინავე სტახანოველი გიორგი მაისურაძე. ქალაქის სამშენებლო უბნებში შედგმენითია და სიყვარულით იხსენიებენ მას.

გიორგი მაისურაძე კალატოზია. იგი რუსთავში გასული წლის სექტემბრში მოვიდა ახმეტის რაიონის სოფელ ჩანთანაიდან. მას გადაწყვეტილი ჰქონდა აქტიური მონაწილეობა მიეღო ახალი სოციალისტური ქალაქის მშენებლობაში. ამავე გზაზრახვით გიორგიმ თან ჩამოიყოვანა შვიდი ახმეტელი ახალგაზრდა, რომლებიც იმ დროს არავითარ პროფესიას არ ფლობენ და ფუფლებულნენ. მაისურაძემ მათთან ნაყოფიერი მუშაობა გასწია. ახალგაზრდებმა სამი თვის განმავლობაში შეისწავლეს კალატოზის პროფესია და მოკლე ხანში ქალაქის მშენებლობა მოწინავეს რიგებში ჩადგნენ.

საქმისადმი უდიდესი სიყვარული, დაუშრეტელი ენერგია, ყოველდღიური სწორფვა შრომის ნაყოფიერების ზრდისაკენ — ამ თვისებებით ბრის აღფურეული გიორგი მაისურაძე, დახელოვნებული კალატოზი-მშენებელი. იგი ყოველთვიურ დავალებას 300-350 პროცენტით სრულებს, ხოლო დიდურ დაავალებას ზშრავ 420 პროცენტით.

ქალაქის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდება გ. მაისურაძეც, როგორც მშენებელი. მიმდინარე წლის ოქტომბრიდან გიორგი დანიშნეს ლამბარე სწორმოს სამშენებლო სამმართველოს ტახანოვიური მუშაობის მეთოდების ინსტრუქტორად. მან ენერგიულად მოკიდა ხელი ამ ახალ საქმეს. მაისურაძე სამშენებლო ბრიგადებს, ცალკეულ მუშებს თვითონ შეურჩევს ხოლმე საქმეთა იარაღს, უმზადებს ეთ სამუშაოთ ადგილს. იგი განსაკუთრებულ დახმარებას უწევს იმ ახალგახმდა მუშებს, რომლებსაც საკმაო გამოცდილება ჯერ კიდევ არა აქვთ. პრაქტიკულად უჩვენებს და განუმარტავს მუშაობის ხერხებს, უზიარებს თავის გამოცდილებას. ამ დაბმარების შედეგიცაა, რომ საგრძნობლად ამაღლდა ამხეიანელთა შრომის ნაყოფიერება და შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. მაგალითად, პირველი სამშენებლო უბნის კალატოზთა ბრიგადამ, რომელსაც ოქტომბერში საგრძნობი ჩამორჩენა ჰქონდა, ნოემბრის გეგმა 117 პროცენტით შეასრულა.

გიორგი მაისურაძე ნაყოფიერად მუშაობს საფბარეო-საკარხნო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებთან. თუ სამშენებლო უბანში მუშაობის დაწყების პირველ ხანებში ისინი სანახევროდაც ვერ ასრულებდნენ ნორმებს, ახლა მეკრი მთგანი (უ. ბაიდოშვილი, კ. ქურტაფეი და სხვები) მაღალნაყოფიერი შრომის ნიმუშებს იძლევა.

სტახანოველ შრომეგალის დიდ პატივს სცემენ ქალაქში. მას ერთ-ერთ ლამაზ უბანში მისცეს კეთილმოწყობილი კოტეჯი საკმაოდ მოზრდილი საკარმიდამო ნაკვეთით.

ქალაქის მშრომელებმა გ. მაისურაძე რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს. ხალხს ნდობამ იგი ახალი საწარმოო გამარჯვების მოსახეიმებლად აღფურთოვანა. მან ვალდებულება იკისრა — ზამთრის ძნელ პირობებში ყოველთვიური ვალდებულება 150-200 პროცენტით გაანაღდოს.

გ. მაისურაძე რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია. ამომრჩევლები მას სიყვარულით მისცემენ თავიანთ ხმას.

გ. ჭელეშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ამომრჩევლებს

რაიონის შემდგომი კეთილმოწყობისათვის

ლ. ბ. ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის კლუბში თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 215, 216 და მოლოტოვის რაისაბჭოს არჩევნების № 145, 146, 147, 148 საარჩევნო ოლქების ამომრჩეველებმა გულთბილი შეხვედრა მეფუფლეს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს.

შეხვედრა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 216 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. ბობოხიძემ.

სიტყვით გამოსულნი ნდობით აღურკვიანეს პირმა პროფესორმა ბ. ალკაბაძემ განაცხადა:

— საქალაქო საბჭოს დეპუტატობის ღირსეული კანდიდატია ნინო ლუკას ასული სურგულაძე. იგი მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგის მოადგილეა. პატიოსანი და თავდადებული მუშობით მან მშრომელთა სიყვარული და ნდობა დაიმსახურა.

პროფესორი დ. კაკაბაძე ამომრჩევლებს მოუწოდებს მისცენ ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატს ამხ. ნ. სურგულაძეს.

ნდობით აღუჭურვილი პირი ამხ. ა. კაკავაძე დამსწრეთ დაუწერილებით აცნობს საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოლკოვნიკოსი ამხ. ნიკოლოზ სპირიდონის-ძე მანუკაროვის ბიოგრაფიას. ამხ. მანუკაროვის კანდიდატური რეგისტრირებულია თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 216 საარჩევნო ოლქში.

ამხ. ბ. ბერიას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმის კლუბში თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 215, 216 და მოლოტოვის რაისაბჭოს არჩევნების № 145, 146, 147, 148 საარჩევნო ოლქების ამომრჩეველებმა გულთბილი შეხვედრა მეფუფლეს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატებს.

შეხვედრა გახსნა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნების № 216 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. კ. ბობოხიძემ.

სიტყვით გამოსულნი ნდობით აღურკვიანეს ამხ. ბ. ბალაკაძემ, ბ. ბალაკაძემ, ლ. ცხვედიანმა, დ. ა. თავიანთ ამოლმა ბარაკეს მშრომელთა დეპუტატებმა თბილისის მოლოტოვის რაიონული საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებმა ამხ. ი. გეგიაუკეს, ე. კორდოკაშვილს, თ. ფარეულიშვილსა და ე. კოკაიას საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე, მათ თავდადებულ შრომაზე საბჭოთა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

სიტყვით გამოსულნი ამომრჩეველნი ქ. ამოიანაშვილი, მ. აბუაშვილი, ე. გეგრასაშვილი, თ. ნატროშვილი და სხვანი. თავიანთ გამოსვლებში აღნიშნავენ, რომ მოლოტოვის რაიონი დედაქალაქის ერთერთ ყველაზე ლამაზ რაიონად გადაიქცა. აშენდა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, გაკეთდა ახალი მოედნები, სკვერები, შენდება ასოციალისტიანი საცხოვრებელი კომბინატი, დიდი სამეშაოები მიმდინარეობს მტკვრის სანაპიროს გაასკეთებლად. ამომრჩეველმა დეპუტატობის კანდიდატებს მისცეს განაწესი — მეტი ყურადღება მიაქციონ რაიონის ეკონომიკა უბნების კეთილმოწყობას, სანიაო ფონდის დაცვას და სხვ.

დეპუტატობის კანდიდატებმა მადლობა გადაუხადეს ამომრჩეველებს დიდი ნდობისათვის და პირობა მისცეს მათ, რომ მომავალშიც ენერგიის დაუზოგავად იმუშავებენ დედაქალაქის შემდგომი კეთილმოწყობისათვის.

ამომრჩევლები განაწესს აძლევენ დეპუტატობის კანდიდატებს

ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სალოკომოდგომო დისტანციის კლუბში დეპუტატობის კანდიდატებთან ამომრჩეველთა შეხვედრისადმი მიძღვნილი კრება გახსნა ამხ. ა. მაჭარაშვილმა.

ტრიბუნაზეა ნდობით აღჭურვილი პირი ამხ. მგელაძე. იგი ლაპარაკობს დედაქალაქის ერთ-ერთი მორნინე რაიონის — ლენინის რაიონის კეთილმოწყობაზე, იმ მიღწევებზე, რომლებთაც რაიონი ბოდგი ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს. სხვა მიღწევებთან ერთად დიდად გაუმჯობესდა შრომგეკლია სამეფლიერო მომსახურება. ამ საქმეში გარკვეული დეკაწლი მიეძღვის ლენინის რაიონის საბაჯშო პოლიკლინიკის მთავარ ექიმს, უპარტიო ბოლშევიკს თამარ პაპაშვილს ასულ სირბილაძეს. ამხ. სირბილაძე მთელი რიგი წლების მანძილზე დაუღალავად ემსახურება ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. ამიტომ იყო, რომ მეორე პოლიკლინიკის მედიცინის მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად № 62 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად დაასახელა ამხ. თ. სირბილაძე.

ამხ. მგელაძე ამომრჩევლებს მოუწოდებს ხმა მისცენ ამხ. სირბილაძეს.

ლენინის რაისაბჭოს დეპუტატობის კანდიდატებს ამხ. ო. გეგელსონისა და თ. ბეღიაშვილის მოღვაწეობის შესახებ ილაპარაკეს ნდობით აღჭურვილმა პირებმა ამხ. ჯაკაბიძემ და ნოვეკო

პარტიულ კონფერენციებზე

რუსთავი

რუსთავის მესამე საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზედგინიძემ. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რაც მოპოვებულია ქალაქის მეურნეობის განვითარების საქმეში. ვრცლად შეეხო რა პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებს, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ ნაკლოვანებებს, რაც საქალაქო კომიტეტსა და ცალკეულ პარტიულ ორგანიზაციებს ჰქონდათ საანგარიშო პერიოდში, მკაცრად გააკრიტიკა ბინმშენის, ხის დამმუშავებელი კომბინატისა და დამხმარე მეურნეობის პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც ცუდად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან და უპარტიო აქტივთან. ამის მიზეზიცაა, რომ აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციებს ორი წლის მანძილზე არც ერთი კაცი არ მიუღიათ თავიანთ რიგებში. ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციაში იშვიათად იწვევენ კრებებს, პარტიულ კრებებზე განსახილველად არ აყენებენ პარტიული და სამეურნეო ცხოვრების აქტუალურ საკითხებს.

ამხ. ზედგინიძემ ილაპარაკა ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ნაკლოვანებებზე, გააკრიტიკა ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტი (თავმჯდომარე ამხ. არჩვაძე), რომელიც ცუდად მუშაობს, აღნიშნა, რომ კომკავშირის საქალაქო კომიტეტი და მისი მდივანი ამხ. ჩიჩუა ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ფიზკულტურულ მუშაობას, ხოლო პირველადი პარტიული ორგანიზაციები ქმედით დახმარებას არ უწევენ კომკავშირულ ორგანიზაციებს.

აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი კომუნისტების პოლიტიკური განათლების საქმეში. საქალაქო პარტიული კაბინეტი და მთელი რიგი პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ პარტიული განათლების საქმეს. ზოგიერთ პოლიტსკოლასა და წრეში მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევებიც იყო.

ამხ. ზედგინიძე ვრცლად შეჩერდა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საკითხზე, გააკრიტიკა ნაკლოვანებანი მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაში, აგიტპუნქტების საქმიანობაში.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 21-მა ამხანაგმა.

ბეტონის ცენტრალური კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ვ. ცხადაძემ მკაცრად და სავსებით სამართლიანად გააკრიტიკა კომბინატის დირექცია, კერძოდ კომბინატის დირექტორი აბრამოვი, რომელიც სავსებით მოწყვეტილია მასებსა და პარტიულ ორგანიზაციას, ყურს არ უგდებს კომუნისტების ხმას, არ ესწრება პარტიულ კრებებს, არ ზრუნავს თავისი იდეური დონის ამაღლებისათვის. ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ამხ. აბრამოვი სათანადოდ ვერ მუშაობს, ამასთან უხეშად ექცევა კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს, უსულგულო, ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას იჩენს მათდამი. ამხ. ცხადაძემ გააკრიტიკა აგრეთვე კომბინატის პროფორგანიზაცია, რომელიც ნაკლებად არის დაინტერესებული მუშების საყოფაცხოვრებო პირობებით.

ხის დამმუშავებელი კომბინატის პარტორგანიზაციის მდივანმა ამხ. ა. ბაზიარმა ილაპარაკა კომბინატის ჩამორჩენის მიზეზებზე.

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია საქალაქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

შედგა საქალაქო კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ზედგინიძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. ჯობაძე, მდივნად — ამხ. ი. ვიშნიაკოვი. (საქ. კორ.).

ზუგდიდი

ზუგდიდის მე-11 რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსულმა საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ჩაჩიბაიამ აღნიშნა: მე-10 რაიონული კონფერენციიდან განვლილ პერიოდში განმტკიცდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, შეიქმნა 9 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ამჟამად რაიონში 163 პირველადი პარტიული ორგანიზაციაა. ილაპარაკა რა პარტიული ორგანიზაციების მუშაობაზე, მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა კომუნისტების მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საკითხზე, ამხილა ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებები, განსაკუთრებით წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის საქმეში. დამოუკიდებლად მომუშავეთა ერთი ნაწილი გეგმებს ადგენს, შემდეგ კი არაფერს არ აკეთებს. სუსტად მუშაობს ზოგიერთი კონსულტანტიც. ნაკლოვანებანია მსხვილ პარტიულ ორგანიზაციებთან არსებული პარტიული და სამეურნეო აქტივის სემინარების მუშაობაში. საგრძნობ გაუმჯობესებას მოითხოვს ლექციური პროპაგანდა. არასაკმაო რაოდენობით ეწყობა პოლიტიკური მოხსენებები სოფლად.

ამხ. ჩაჩიბაია ლაპარაკობს, რომ საანგარიშო პერიოდში სერიოზული ყურადღება ექცეოდა კადრებთან მუშაობას. ხელმძღვანელ სამუშაოებზე დაწინაურებულ იქნა ათეულობით მუშაკი, რომლებიც წარმატებით უძღვებიან საქმეს. პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის სისტემატურად ეწყობა სემინარები, კონსულტაციები, პირველადი ორგანიზაციის 60 მდივანი სწავლობს სამთვიან კურსებზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა ჩაის პლანტაციების მოვლა-დამუშავება. ჩაის კრეფის გეგმა წელს 119,5 პროცენტითაა შესრულებული. ნაცვლად 8.350 ტონისა მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 9.985 ტონა ხარისხოვანი ჩაი. აღსანიშნავია, რომ წლის კრეფის გეგმიანი დავალება შესრულა უკლებლივ ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ.

ამასთან რაიონში ჩაის საჰექტარო მოსავლიანობა ჯერ კიდევ დაბალია, ცალკეულ პლანტაციებში ნაკლები დოზით შეაქვთ სასუქები, პლანტაციების ნაწილი მეჩხერია, პლანტაციები ბევრგან დაუცველია პირუტყვისაგან, არსებითს გაუმჯობესებას მოითხოვს ახალგაზრდა ნარგავების მოვლა-დამუშავება.

ბევრგან არ სრულდება მარცვლეულის მოსავლიანობის გეგმა. ამის მიზეზი ისიცაა, რომ მტს-ი ზოგჯერ არღვევს ნიადაგის დამუშავების ვადებს, აგროწესებს.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის ხელმძღვანელები, აღნიშნა, რომ ქაღალდის გამოშვების სამი კვარტლის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 89,9 პროცენტით, დაცული არ არის ასორტიმენტი.

გაიმართა კამათი.

რაიონულ გაზეთ „მებრძოლის“ პასუხისმგებელმა რედაქტორმა ი. ჩიქავამ გააკრიტიკა ენგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატის ხელმძღვანელი მუშაკები, კერძოდ დირექტორი ბ. ჯანაშია, იმის გამო, რომ ეს ამხანაგები გაზეთის მიერ კომბინატის მუშაობის კრიტიკას არ ეხმაურებიან.

ცაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ძ. შამუგიამ აღნიშნა, რომ ძლიერ ჭიანურდება ცაიშის საშუალო სკოლის შენობის აგება. აღნიშნული მდგომარეობა გააკრიტიკა გაზეთმა „კომუნისტმა“, მამხილებელი წერილები დაიბეჭდა რაიონულ გაზეთშიც, მაგრამ რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება დღემდე მაინც არ იღებს საჭირო ზომებს მშენებლობის დასამთავრებლად.

სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ მ. დოჩიამ თუმცა გააკრიტიკა ზოგიერთი კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავლის მიღებისათვის, ილაპარაკა ჩაის კრეფაში მიღწეულ წარმატებებზე, მაგრამ არაფერი თქვა ჩაის საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოთა მიმდინარეობაზე. ამ მხრივ კი ბევრგან ჩამორჩენაა.

მშრომელთა დეპუტატების ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვ. ბეჭვაია შეეხო რაიონული ცენტრის კეთილმოსაწყობად გაწეულ მუშაობას, ამასთან დააყენა საკითხი მთელ რიგ მშენებლობათა, აგრეთვე კულტურისა და დასვენების პარკის კეთილმოწყობის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო სულ 22 ამხანაგმა.

კონფერენციამ დახურული (ფარული) კენჭისყრით აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა.

შედგა ახლად არჩეული რაიკომის პირველი პლენუმი, რომელმაც საქართველოს კ. პ. (ბ) ზუგდიდის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ჩაჩიბაია, მეორე მდივნად—ამხ. შ. ბულუა, ხოლო მდივნად—ამხ. დ. კალანდია.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილმა.

ვ. მესხია
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

4 დეკემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 5 დეკემბერი (სახტეს). გენერალური ასამბლეის 4 დეკემბრის დილის პლენარულ სხდომაზე განიხილავდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხს.

როგორც ცნობილია, მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა — ალბანეთმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ, ბულგარეთმა, რუმინეთმა, უნგრეთმა, ფინეთმა, იტალიამ, პორტუგალიამ, ირლანდიამ, ტრანსიორდანიამ, ავსტრიამ, ცეილონმა და ნეპალმა — უკვე დიდი ხანია მიმართეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განცხადებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღების შესახებ. უშიშროების საბჭოში ამ განცხადებათა განხილვისას (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების თანახმად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება ხდება გენერალური ასამბლეის დადგენილებით უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე) სსრ კავშირის დელეგაცია გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ყველა ზემოხსენებული სახელმწიფოს მიღების სასარგებლოდ. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ თავიანთი ვიწრო ანგარებითი ინტერესებით, გამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის, რუმინეთისა და უნგრეთის მიღების წინააღმდეგ. ამის შედეგად უშიშროების საბჭომ ვერ მიაღწია შეთანხმებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად აღნიშნული 13 სახელმწიფოს მიღების შესახებ რეკომენდაციის თაობაზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხი ირჩეოდა გენერალური ასამბლეის წარსულ სესიაზე. მაშინ ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენლები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, თითქოს ასამბლეას შეუძლია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების საწინააღმდეგოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრები მიიღოს უშიშროების საბჭოს ურეკომენდაციოდაც კი. ინგლის-ამერიკის ბლოკის ქვეყნების ზეგავლენით ასამბლეამ მაშინ მიიღო მთელი რიგი რეზოლუციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხზე. ზოგიერთი რეზოლუცია წინადადებას აძლევდა უშიშროების საბჭოს გადაესინჯა მხოლოდ იმ ქვეყნების განცხადებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, რომლებიც ინგლის-ამერიკის ბანაკს სურს. მეორე მხრივ, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლითაც ასამბლეა საერთაშორისო სასამართლოს სთხოვდა მოეცა საკონსულტაციო დასკვნა, შეუძლია თუ არა გენერალურ ასამბლეას უშიშროების საბჭოს ურეკომენდაციოდ მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრები.

საერთაშორისო სასამართლო თავის დასკვნაში, რომელიც გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიას წარედგინა, იუწყება, რომ, მისი აზრით, ასამბლეას უფლება არა აქვს უშიშროების საბჭოს ურეკომენდაციოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მიიღოს ახალი წევრები, ვინაიდან გენერალური ასამბლეისათვის ასეთი უფლების მინიჭება იქნებოდა უშიშროების საბჭოს უფლებათა უკანონო შეზღუდვა, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას.

ასამბლეის 4 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე ახალი წევრების მიღების საკითხზე წარდგენილ იქნა რეზოლუციის სამი პროექტი. პირველი პროექტი, რომელიც სსრ კავშირის დელეგაციამ წარადგინა, წინადადებას აძლევს ასამბლეას ურჩიოს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს განცხადებანი ყველა ზემოაღნიშნული 13 სახელმწიფოსი, რომლებმაც ითხოვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღება. რეზოლუციის მეორე პროექტი, რომელიც ბრაზილიის, კანადის, სირიის, ფილიპინებისა და შვეციის დელეგაციებმა შეიტანეს, წინადადებას აძლევს გენერალურ ასამბლეას ურჩიოს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს ყველა მიღებული განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, მათ შორის სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის „მთავრობის“ განცხადება. და, ბოლოს, რეზოლუციის მესამე პროექტი, რომელიც სალვადორის დელეგაციამ შეიტანა, წინადადებას აძლევს ასამბლეას კვლავ ურჩიოს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს მხოლოდ იმ ქვეყნების განცხადებანი, რომლებიც სასურველია ინგლის-ამერიკის ბლოკისათვის, მათ შორის სამხრეთ კორეის მარიონეტული რეჟიმის „მთავრობის“ განცხადება. შემდეგ ეს პროექტი ურჩევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაუგზავნოს ამ სახელმწიფოებს მოწვევა—თავიანთი მეთვალყურეები გამოგზავნონ გენერალური ასამბლეის, აგრეთვე მისი კომიტეტების, მათ შორის სესიათაშორისო კომიტეტის სხდომებზე, რათა „მათ შეეძლოთ გამოვიდნენ და მიაწოდონ ცნობები, რომლებსაც მათ გაერთიანებული ერების წევრი რომელიმე სახელმწიფოს დელეგაციები მოსთხოვენ“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გამო კამათის დასაწყისში გამოვიდნენ შვეციის, კანადის, სირიისა და ბრაზილიის წარმომადგენლები, რომლებმაც გაილაშქრეს სალვადორის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ და განაცხადეს, რომ ამ პროექტით გათვალისწინებული რეკომენდაცია ასამბლეისა და მისი კომიტეტების სხდომებზე მეთვალყურეებად იმ ზოგიერთი ქვეყნის წარმომადგენელთა მოწვევის შესახებ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არ არიან, არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. მათ გაილაშქრეს აგრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ და ამტკიცებდნენ, თითქოს ეს პროექტი არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპს, რამდენადაც იგი უშიშროების საბჭოს არ ურჩევს გადასინჯოს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამხრეთ კორეის მარიონეტული „მთავრობის“ მიღების შესახებ. სირიის წარმომადგენელმა ელ-ხურიმ მხარი დაუჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ყველა იმ სახელმწიფოს მიღებას, რომლებმაც განცხადება შეიტანეს, აგრეთვე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, როგორც იმ ერთადერთი მთავრობის ცნობას, რომელსაც უფლება აქვს ჩინეთის წარმომადგენელი იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ელ-ხურიმ განაცხადა: ასეთი გადაწყვეტილება რომ ადრე ყოფილიყო მიღებული, შესაძლებელია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია არ აღმოჩნდებოდა საერთაშორისო ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის წინაშე.

ინგლისის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს და გაილაშქრა საბჭოთა კავშირის დელეგაციის, აგრეთვე სალვადორის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციების პროექტების წინააღმდეგ.

მის შემდეგ, რაც ეგვიპტის წარმომადგენელმა გააკეთა მოკლე განცხადება და აღნიშნა, რომ იგი ხმას მისცემს რეზოლუციის ყველა პროექტს ვინაიდან ისინი ერთმანეთს ავსებენ, სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოკლედ გაიხსენა განსახილველი საკითხის ისტორია და ხაზგასმით აღნიშნა, რომ, 1947 წლით დაწყებული, გენერალური ასამბლეის ყოველ სესიაზე ინგლის-ამერიკის ბლოკი უხეშად ცდილობდა დაემახინჯებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-4 მუხლის დებულებანი, რომელიც სრულიად აშკარად განმარტავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ახალი წევრების მიღება წარმოებს გენერალური ასამბლეის დადგენილებით უშიშროების საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

ცარაპკინმა ილაპარაკა ასამბლეის წარსული სესიის გადაწყვეტილებაზე — საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად მიემართნა საერთაშორისო სასამართლოსათვის და ასამბლეას მოაგონა, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ გაილაშქრა ამ გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ წესდების განმარტება არ შეიძლება იყოს იმ საერთაშორისო სასამართლოს განხილვისა და საკონსულტაციო დასკვნის საგანი, რომელსაც, თავისი სტატუსის თანახმად, შეუძლია დასკვნა მისცეს მხოლოდ იურიდიულ საკითხებზე. საბჭოთა კავშირის დელეგაცია, — განაგრძო ცარაპკინმა, — ამჟამადაც მიაჩნია, რომ საერთაშორისო სასამართლო არ არის კომპეტენტური ორგანო ხსენებულ საკითხზე საკონსულტაციო დასკვნის მისაცემად. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სასამართლოს 1950 წლის 3 მარტის დასკვნა უეჭველად ინტერესს იწვევს.

ს. კ. ცარაპკინმა ანალიზი გაუკეთა სასამართლოს ამ საკონსულტაციო დასკვნას და ცხადყო, რომ იგი სიტყვასიტყვით იმეორებს ყოველივე იმას, რაც არაერთგზის უთქვამს და დაუმტკიცებია საბჭოთა კავშირის დელეგაციას, როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს იცავდა. ამრიგად, სავსებით ჩაიშალა ცდა გვერდი აუარონ ახალი წევრების მიღებაში უშიშროების საბჭოს მონაწილეობას და ამით უხეშად დაარღვიონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება. აქედან გამომდინარეობს, რომ ახალი წევრების მიღების საკითხი შეიძლება და კიდევაც უნდა გადაიჭრას მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების ზუსტი შესაბამისობით.

ცარაპკინმა ილაპარაკა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტზე და აღნიშნა, რომ ეს პროექტი წარმოადგენს ცდას — გვერდი აუარონ საკითხის გადაჭრას, ვინაიდან იგი იმოწმებს გენერალური ასამბლეის შარშანდელ რეზოლუციას, რომელშიც გამოთქმულია აზრი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრებად მიღებულ უნდა იქნას მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისისათვის სასურველი 9 სახელმწიფო, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთკორეელი მარიონეტ—ლი სინ მანის ანტიხალხური რეჟიმი.

ს. კ. ცარაპკინმა მტკიცედ გაილაშქრა სალვადორის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მასში არსებული წინადადება, რომ იმ სახელმწიფოებმა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრები არ არიან, თავიანთი წარმომადგენლები გამოგზავნონ გენერალური ასამბლეის სესიაზე, სავსებით ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. ხუთი ქვეყნის ერთობლივი პროექტისა და სალვადორის პროექტის არსი, — თქვა საბჭოთა წარმომადგენელმა, — იმას მოწმობს, რომ ასამბლეის ამ სესიაზეც მიმართავენ ღონისძიებებს განაგრძონ მფარველობის პოლიტიკა ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ და დისკრიმინაციის პოლიტიკა სხვა სახელმწიფოთა მიმართ. სსრ კავშირის დელეგაცია ვერ დაეთანხმება ახალი წევრების მიღების საკითხისადმი ასეთ მიდგომას, ვინაიდან, როგორც წარსულშიც, იგი ხელს ვერ შეუწყობს ამ საკითხის გადაჭრას. ამიტომ სსრ კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს ხუთი ქვეყნის რეზოლუციის ერთობლივი პროექტის წინააღმდეგ და აგრეთვე სალვადორის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

საბჭოთა წარმომადგენელმა მოუწოდა ასამბლეას მიიღოს სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტი და აღნიშნა, რომ, თუმცა საბჭოთა კავშირს აქვს საფუძველი გაილაშქროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ 13 ქვეყნიდან, რომლებმაც შეიტანეს განცხადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად მიღების შესახებ, ზოგიერთის მიღების წინააღმდეგ, მაგრამ, მიუხედავად ამი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

თიანეთი ამ დღეებში

საბადურის მწვერვალიდან

დედაქალაქიდან თიანეთს მიმავალმა მგზავრებმა საბადურის უღელტეხილზე მანქანა შეაჩერეს და დაბლობს გადახედეს. დიდებული სანახაობა გადაიშალა მათ წინაშე.

ქვევით, მთების ძირში, მრავალ ასეულ ჰექტარზე გადაჭიმულა ერწოს მინდორი, რომელიც ზაფხულში უზარმაზარ ხალიჩას ჰგავს, ხოლო შემოდგომაზე — ათასნაირი ხორაგით სავსე გაშლილ სუფრას.

ერწოს გადაღმა მრავალი გორაკია. გორაკები თავისი აყალო მიწით და კოხტა სოფლებით ზემო იმერეთის მიდამოებს ჩამოგავს.

ჩრდილოეთით იისფერ ნისლში დგანან კავკასიონის ბუმბერაზი მწვერვალები. მოჩანს ფშავ-ხევსურეთის მთები, ალპიური საძოვრები, საკოლმეურნეო სოფლები...

ბაღ-ბოსტნებით მოქარგულ ხეობაში დინჯად მოაგორებს ტალღებს წითელფოროჯიანი კალმახით სავსე იორი.

შემოდგომას ყველაფრისათვის ოქროსფერი დაუდვია. ოქროსფერია ტყეები, მინდვრები, იორის ნაპირას ორიცხვად თავჩაღუნული წნორის ხეებიც.

თვალი ვერ ძღება ამ სურათით. დგანან მგზავრები და უსიტყვოდ ტკბებიან სანახაობით. ბევრი მათგანი დიდიხანია აქ აღარ ყოფილა, ამიტომ გულდასმით ათვალიერებენ ნაცნობ ადგილებს...

რამდენი ცვლილება მომხდარა ივრის ხეობაში! რამდენი ახალი ნაგებობა შემატებიათ თიანელებს, როგორ უცვლია სახე აქაურობას!

მგზავრებს განსაკუთრებით ერთი რამ აკვირვებთ. იქ, სადაც ერწოს ჭაობი იყო, ახლა ნახნავები ჩანს. სად გაქრა ციების ბუდე, გლეხკაცის მტერი, რომელიც საუკუნეების მანძილზე შხამით წამლავდა აქაურობას?

მათ უამბობენ, რომ თიანელმა კოლმეურნეებმა უკვე ბოლო მოუღეს ერწოს ჭაობებს, ერთი სასახელო ფურცელი შემატეს ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის გმირულ მატიანეს. ნაჭაობარზე — ათასობით ჰექტარ მიწაზე — უკვე ითესება ხორბლეული. თიანელ კოლმეურნეებს თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი პურით უზრუნველყოფის საპატიო საქმეში.

ამ ამბებით ნასიამოვნები მგზავრები სიხარულით განაგრძობენ გზას რაიონული ცენტრისაკენ.

რაიონული ცენტრი ივრის ხეობაში

ვინც რამდენიმე წლის წინათ თიანეთში ყოფილა, ახლა მას ვეღარ იცნობს.

დედაქალაქიდან მრავალ მთებს გადაღმა მდებარე თიანეთი ერთ დროს უბადრუკი სოფელი იყო. მას ჰქონდა მხოლოდ ერთი სკოლა და რამდენიმე სამიკიტნო.

ახლა რაიონულ ცენტრს — თიანეთს აქვს საშუალო სკოლა, მშვენივრად მოწყობილი კულტურის სახლი, საავადმყოფო, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, აბანო, სანიმუშო სასტუმრო, მაღაზიები და ყველაფერი ის, რაც ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს ახასიათებს.

თიანეთის ცენტრალური ქუჩა მოასფალტებული და გამწვანებულია, სოფლის თვალსაჩინო ადგილებზე აღმართულია ვ. ი. ლენინის ძეგლი, ხალხთა ბელადის ი. ბ. სტალინის მონუმენტი, შოთა რუსთაველის ბიუსტი.

თიანეთი ბაღებშია ჩაფლული. ღამით ელექტრონის შუქითაა განათებული სახლები და ბაღები, რეპროდუქტორებს მოაქვთ ახალი ამბები თბილისიდან, მოსკოვიდან.

თიანელები შესანიშნავ თაოსნობას იჩენენ რაიონული ცენტრის კიდევ უფრო გალამაზებისათვის. პარტიის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. დვალი, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. გონჯილაშვილი, რაისაბჭოს დეპუტატები—მთელი აქტივი იბრძვის იმისათვის, რომ თიანეთი იყოს არა მარტო ადმინისტრაციული და სამეურნეო ცენტრი, არამედ კულტურული ცენტრიც, ნიმუში და მაგალითი მთელი რაიონისათვის.

თიანელები მომავალშიც ბევრ რამეს შემატებენ თავიანთ რაიონულ ცენტრს. მალე დამთავრდება საავადმყოფოს ახალი შენობის აგება; მომავალ წელს კაპიტალური რემონტი გაუკეთდება წყალსადენს, რისთვისაც უკვე შეძენილია თუჯის მილები; გაიხსნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; დამატებით მოასფალტდება ხუთი ათასი კვადრატული მეტრი ქუჩა; გაგრძელდება გამწვანება, გალამაზდება შენობათა ფასადები...

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით ასე იზრდება და მშვენიერდება რაიონული ცენტრი ივრის ხეობაში.

მოწინავე ადამიანები, სასახელო საქმეები

ჩვენს ქვეყანაში შრომა სიხარულით აღსავსე შემოქმედებად გადაიქცა. იგი თვითეულ ადამიანს შესაძლებლობას აძლევს მთლიანად გამოამჟღავნოს თავისი ნიჭი, ინიციატივა... ეს ჩვენი ცხოვრების ურყევი კანონია.

სადაც უნდა იმყოფებოდეს, რომელ უბანზეც უნდა შრომობდეს საბჭოთა ადამიანი, იგი ღრმადაა დარწმუნებული, რომ მასაც თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

ამ შეგნებით შრომობენ რაიონის კოლმეურნეები, პარტიული და უპარტიო ბოლშევიკები მიწათმოქმედებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის.

ბევრი წარჩინებული ადამიანი ჰყავთ თიანელებს. ეს ადამიანები საბჭოთა ხელისუფლებამ აღზარდა, ახალი სული შთაბერა და სოციალისტური ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა.

კოლმეურნეები მიხა ჯიმშიტაშვილი, შალვა სისაური, ლაზარე არჩემაშვილი, გოგლე მოსიაშვილი და პეტრე როსტიაშვილი თიანეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმის მუშაკები არიან. მათი თავდადებული მუშაობის შედეგად შარშან ყიზლარის საძოვრებზე, მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, ცხვარმა საუკეთესოდ გამოიზამთრა. ვისაც ზამთარი ყიზლარში გაუტარებია, მან კარგად იცის, თუ რა სიძნელეები უნდა გადალახოს მწყემსმა, რომ წარმატებას მიაღწიოს. მწყემსი ცოტა ხნითაც ვერ დატოვებს ცხვარს თოვლსა და წვიმაში. იგი დღისით და ღამით უმკლავდება ბუნების სტიქიას და გაზაფხულზე გაკაჟებული ბრუნდება მშობლიურ სოფელში. არანაკლები სიძნელეები უნდა გადალახოს მან საზაფხულო იალაღებზე.

თიანელი ვაჟკაცები ახლაც ყიზლარში არიან და, როგორც თანასოფლელებს წერენ, გაზაფხულზე კოლმეურნეობას ათიათას ბატკანს ჩამოუყვანენ.

კოლმეურნეობას ხუთი სახის ფერმა აქვს, ხუთივემ მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმები გადაჭარბებით გაანაღდა.

ამ კოლმეურნეობაში ხვნა-თესვასაც მისდევენ. მხურვალედ გამოეხმაურნენ თიანელები ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ლ. პ. ბერიას მითითებას ხორბლეული კულტურების წარმოების გადიდების შესახებ. როგორც მტკიცედ შეკრული ერთი ოჯახის წევრები, შეუდგნენ ისინი ახალი მიწების ათვისებას, თანამედროვე აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა გამოყენებას. მათ უკვე შემოიმატეს ოროცდათერთმეტი ჰექტარი ახალი ფართობი, რომელზეც ხორბალი დათესეს.

თიანეთში თავისებური კლიმატური პირობებია. საჭირო იყო ისეთი ჯიშის ხორბალი, რომელიც უზრუნველყოფდა მაღალ მოსავალს. აგრონომ ც. ჯიაძის მეთაურობით ეს ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. ადგილობრივ გამოყვანილია ახალი ჯიშის საუკეთესო თვისების ხორბალი „თიანეთური დიკა“. ამ ხორბალმა ფართო გავრცელება ჰპოვა რაიონში.

ვის არ გაუგონია ხალხური სიმღერა:

საწყალსა გლეხსა ვინ მისცემს
ოთხის ღამეს ღვინოსა,
მჭადი ჭამოს და წყალი სვას,
დაწვეს და დაიძინოსა...

ადამიანური სევდით გამსჭვალული ეს სიმღერა რევოლუციამდელი დაბეჩავებული გლეხის გულისთქმას გამოხატავდა. ახლა საკოლმეურნეო სოფელი მსუყედ და კულტურულად ცხოვრობს.

კოლმეურნე ქალმა ნუცა ხიბილაშვილმა წელს შრომადღეებზე ოთხას ოცდათხუთმეტი კილოგრამი ხორბალი და ერთ ტონამდე სიმინდი მიიღო.

მიხეილ ხიბილაშვილის ოჯახმა, ფულზე და სხვა პროდუქტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ნახევარ ტონაზე მეტი ხორბალი და ტონანახევარი სიმინდი მიიღო.

ეს მაშინ, როცა სეტყვამ წელს ნათესების ნაწილი დააზიანა.

ივრის ხეობის სათავეში არის არტნის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა. პატარა, მაგრამ მდიდარი სოფელია არტანი, აქ მხოლოდ სამოცდაათი კომლი ცხოვრობს. კოლმეურნეებს ჰყავთ შვიდი ათასზე მეტი ცხვარი, რვაასი ძროხა და ხარი, ასამდე ღორი, ცხენები, ფუტკარი, მრავალი ფრინველი. კოლმეურნეობა ამაყობს მეცხოველეობის საქმის ოსტატებით, რომელთა რიცხვი თანდათანობით იზრდება. ესენი არიან ხევსური ბუჭყურაშვილი, პავლე კუდიანაშვილი, ოთარ ალბექიონი, ლადო ფეტვიაშვილი, არჩილ სახლთხუციშვილი, რევაზ ჭამაშვილი, დიაკონ ცოლიკაური, საბედა ტვირთამშვილი, ვაჟასიმე წვეროშვილი და ყველასათვის საყვარელი მოხუცი პაპი ხიჩილაშვილი, რომელიც 42 წელია მეცხვარედ მუშაობს. ოცდაერთი წლის განმავლობაში კოლმეურნეობას უცვლელად ხელმძღვანელობს მთიელი ალექსი ხიზანაშვილი.

არტნელებმა იციან, რომ ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება ნიშნავს საქმის ცოდნით გაძღოლის უნარს. მთიელები ხარბად ეწაფებიან სწავლას. მთის ამ შორეულ სოფელშიც ყოველდღიურად გაისმის სკოლის ზარის წკრიალი, როგორც სიმბოლო კულტურის ძლევამოსილი წინსვლისა.

მაღალია საბადურის მთები, ამ მთებზე მიიკლაკნება დედაქალაქისაკენ მიმავალი გზა. რამდენადაც ლამაზია საბადური ზაფხულში, იმდენად მკაცრია იგი ზამთარში. თოვლის ნამქერი ყოველ ზამთარს კეტავს გზას, წყდება მიმოსვლა და თიანელები მხოლოდ ფეხით ახერხებენ მის გადალახვას.

ამ ერთი თვის წინათ რაიონის მშრომელებმა საშვილიშვილო საქმე წამოიწყეს. ორი ათასი კოლმეურნე ბარებითა და წერაქვებით გამოვიდა გზების მშენებლობაზე.

ოთხი დღის განმავლობაში ებრძოდნენ კოლმეურნეები კლდეების სიჯიუტეს, აფეთქეს უზარმაზარი ქვები, გაწმინდეს ტყე და ჯაგნარი და ექვს კილომეტრზე გაჭრეს ახალი გზა. მალე თიანელები წელიწადის ყველა დროს შეუფერხებლად იმგზავრებენ დედაქალაქში.

რაიონში იშვიათია სოფელი, სადაც ახალი რამ არ შენდებოდეს. შენდება კოლმეურნეთა სახლები, კლუბები, სამკითხველოები, საკოლმეურნეო ნაგებობანი, სკოლები, კეთდება გზები, ხიდები, ლამაზდება სოფლები, იცვლება ივრის ხეობის პეიზაჟი.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის წინ

ივრის ხეობაში სიხარულით სავსე დღეებია. თიანელები ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის ემზადებიან. მთელ რაიონში შენობები დროშებით, პლაკატებითა და ლოზუნგებითაა მორთული.

დიდი აქტივობით ჩატარდა მშრომელთა წინასაარჩევნო კრებები. კოლმეურნეებმა და მუშა-მოსამსახურეებმა რაიონული და სასოფლო საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად დაასახელეს მოწინავე ადამიანები, პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ისინი, ვინც თავისი პატიოსანი შრომით ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

ხუთასზე მეტი აგიტატორი და ნდობით აღჭურვილი პირი ეწევა კანდიდატთა სასარგებლო აგიტაციას. ასეთი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულების ღირსეული შეხვედრა აქ ტრადიციად გადაიქცა.

არჩევნებისათვის მზადების დღეებში კოლმეურნეები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. ყველას სურს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს ახალი შრომითი საჩუქარი მიუძღვნას.

რაიონი წარმატებით ხვდება არჩევნებს. უკვე გადაჭარბებითაა შესრულებული მეცხოველეობის განვითარებისა და ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმა, ვადამდე გადაჭარბებით შესრულდა საშემოდგომო ხვნა-თესვის გეგმაც. მეცხოველეობის მუშაკები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ საუკეთესოდ გამოაზამთრონ პირუტყვი.

ასეთია ეს პატარა რაიონი ამ დღეებში, ასეთია სტალინური კონსტიტუციის მზის ქვეშ აღორძინებული ივრის ხეობა, რომლის წარმატებებში თვალნათლივ იგრძნობა ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი წინსვლა და გამარჯვება.

ა. თოძაძე
„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი
თიანეთი, ნოემბერი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეხუთე სესია

(დასასრული)

სა, იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრას, სსრ კავშირი მზადაა წინააღმდეგ არ წავიდეს, რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ არ მიმართავენ დისკრიმინაციას ალბანეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის, უნგრეთისა და ბულგარეთის მიმართ. ასამბლეის მიერ საბჭოთა წინადადების მიღება, — თქვა ცარაპკინმა, — ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრესტიჟისა და გავლენის განმტკიცებას, ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხების — დიდი და მცირე ხალხების — მეგობრული თანამშრომლობის პრინციპების განმტკიცებას, დამოუკიდებლად მათი პოლიტიკური წყობილებისა და სოციალური და ეკონომიური სისტემისა.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა გაილაშქრა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის ერთობლივი პროექტისა და სალვადორის პროექტის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მისი დელეგაცია ხმას მისცემს სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტს, როგორც ერთადერთ სამართლიან და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამის პროექტს.

შემდეგ გამოვიდა სალვადორის წარმომადგენელი, რომელმაც, ცდილობდა რა დაეცვა თავისი პროექტი, გაილაშქრა უშიშროების საბჭოში ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა გაიმეორა ამერიკის ვერსია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხის გადაჭრის გაჭიანურების მიზეზთა შესახებ და გააკეთა ცილისმწამებლური განცხადება ბულგარეთის, რუმინეთის, ალბანეთის, უნგრეთის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ. მან მხარი დაუჭირა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს და გადაჭრით გაილაშქრა სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ.

პოლონეთის წარმომადგენელმა გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მათი მხარდამჭერი ქვეყნების დელეგაციების პოზიცია განსახილველ საკითხში და ხაზგასმით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღება ჭიანურდება მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით, რომლებიც კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში იმ ქვეყნების მიღებას, რომლებიც დემოკრატიულ გზას დაადგნენ. აღნიშნა რა, რომ ხუთი ქვეყნისა და სალვადორის დელეგაციების რეზოლუციის პროექტები არ შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებს, პოლონეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს.

უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ დელეგატებმა გადაჭრით უარყვეს ხუთი ქვეყნისა და სალვადორის რეზოლუციის პროექტები და ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მხოლოდ სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს შეუძლია სამართლიანად გადაჭრას განსახილველი საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების სულისკვეთებით.

საფრანგეთის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ხუთი ქვეყნის რეზოლუციის პროექტს.

არგენტინისა და ტაილანდის დელეგატების გამოსვლის შემდეგ გენერალური ასამბლეა შეუდგა კენჭისყრას. ხუთი ქვეყნის რეზოლუციის ერთობლივმა პროექტმა, რომელსაც პირველ უყარეს კენჭი, მიიღო 46 ხმა, წინააღმდეგ— 5 ხმა (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია), ორმა დელეგაციამ კენჭისყრაში თავი შეიკავა. შემდეგ კენჭი უყარეს სსრ კავშირის დელეგაციის რეზოლუციის პროექტს, რომელმაც მიიღო 18 ხმა (სსრ კავშირი, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ინდოეთი, ინდონეზია და სხვ.), წინააღმდეგ— 22 ხმა (მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი), კენჭისყრაში თავი შეიკავა 13 დელეგაციამ, მათ შორის საფრანგეთმა. სალვადორის რეზოლუციის პროექტი უარყოფილ იქნა ხმის უმეტესობით.

ამით დამთავრდა გენერალური ასამბლეის ოთხი დეკემბრის დღის სხდომა.

გენერალური კომიტეტის 5 დეკემბრის სხდომა

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გენერალური კომიტეტის სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, კუბისა და ეკვადორის დელეგაციების მოთხოვნა გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესიის დღის წესრიგში შეეტანათ საკითხი, რომელსაც ეწოდება „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ინტერვენცია კორეაში".

გენერალურ კომიტეტს წარედგინა ზემოაღნიშნული დელეგაციების მიერ მომზადებული განმარტებითი მემორანდუმი, რომელშიც დაუსაბუთებლად ამტკიცებენ, თითქოს „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის შეიარაღებული ძალები საომარ მოქმედებას ეწევიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ კორეაში". შემდეგ მემორანდუმში ამტკიცებენ, რომ ეს საკითხი თითქოს უკვე განხილულ იქნა უშიშროების საბჭოში და რომ საბჭომ „ვერ მიიღო რეზოლუცია იმის გამო, რომ საბჭოს ერთ-ერთმა მუდმივმა წევრმა — საბჭოთა კავშირმა — ხმა მისცა წინააღმდეგ". მემორანდუმის ავტორები მოითხოვენ, რომ ცილისწამება ჩინეთის წინააღმდეგ გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს „როგორც სასწრაფო და მნიშვნელოვანი საკითხი".

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ოსტინმა, რომელიც სხდომის დასაწყისში გამოვიდა, გაიმეორა ზემოაღნიშნული მემორანდუმის შინაარსი და მოითხოვა ასამბლეის დღის წესრიგში თავისი ცილისწამების შეტანა.

ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ოუტრატამ გაილაშქრა ასამბლეის დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ არსებულ საერთაშორისო კრიზისს მშვიდობიანად ვერ გადაჭრის ახალი უკანონო რეზოლუციები, რომლებიც მიმართულია ამერიკის აგრესიის მიჩქმალვისაკენ.

შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. მან აღნიშნა, რომ არც მემორანდუმის ავტორებს და არც ამერიკის წარმომადგენელს არ მოუყვანიათ არავითარი ფაქტი, არავითარი მოტივი, რომლებსაც შეუძლიათ მოგვცენ შესაძლებლობა გავიგოთ, თუ რითაა გამოწვეული გენერალურ კომიტეტსა და გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხის აღძვრა. არსებითად რომ ვილაპარაკოთ, შეიძლება ითქვას, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, რომ ამ წინადადების ავტორები გვერდს უვლიან იმას, რომ დაასახელონ კონკრეტული ფაქტები და წამოაყენონ ნამდვილი მოტივები, რომლებიც უფლებას მოგვცემენ შევუდგეთ ამ საკითხის განხილვას. და ეს სავსებით გასაგებია იმ უბრალო მიზეზით, რომ ფაქტები მათ არა აქვთ, იმიტომ, რომ არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ, იმიტომ, რომ ამ საშუალებას ისინი მხოლოდ იმისათვის მიმართავენ, რომ კვლავ და კვლავ სცადონ შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი, აგრესორად თუ ინტერვენტად დასახონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რათა ამით დამალონ ნამდვილი აგრესორი, ნამდვილი ინტერვენტი — ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა.

რატომ აღძრავენ ახლა ამ საკითხს?—იკითხა ა. ი. ვიშინსკიმ. იმიტომ, რომ სამარცხვინო მდგომარეობა, რომელიც ახლა კორეაში ამ ნამდვილი ინტერვენციის ორგანიზატორებისა და მფარველებისათვის შეიქმნა, ამჟამად მოითხოვს რაღაც პასუხს კითხვაზე, რა ამბავია, რა ხდება კორეაში, რით აიხსნება ის მდგომარეობა, რომელშიც მაკარტურის ლეგიონები ჩავარდნენ, რით აიხსნება ის დამარცხება, რასაც ისინი განიცდიან კორეელი პატრიოტებისაგან, რომლებიც იბრძვიან თავიანთი დამოუკიდებლობისა და ეროვნული ერთიანობისათვის. ამ პირობებში იმისათვის, რომ თვალი აგვიხვიონ, იმისათვის, რომ კვლავ შეიყვანონ შეცდომაში საზოგადოებრივი აზრი, ნამდვილი ინტერვენტი, რომელიც ხუთნახევარი თვის განმავლობაში უხვად ღვრის გმირი კორეელი ხალხის სისხლს, ცდილობს პასუხისმგებლობა გადააკისროს სხვებს, ეძებს ბიჭებს საცემად.

შემდეგ ა. ი. ვიშინსკიმ ცხადყო, რომ პროცედურული თვალსაზრისით არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ წარმოდგენილი ცილისწამება შეტანილ იქნას ასამბლეის დღის წესრიგში. მან ამხილა სიცრუე მტკიცებისა, რომ ეს საკითხი თითქოს უკვე განიხილა უშიშროების საბჭომ. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა გენერალურ კომიტეტს მოაგონა, რომ უშიშროების საბჭომ განიხილა, ჯერ ერთი, საჩივარი ტაივანზე ამერიკის შეჭრის წინააღმდეგ, და, მეორე, „საჩივარი კორეის რესპუბლიკის წინააღმდეგ აგრესიის შესახებ", ე. ი. განიხილა საკითხები, რომლებშიც არაფერია ნათქვამი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ „აგრესიისა" თუ „ინტერვენციის" შესახებ ნათქვამი არა იყო რა იმ რეზოლუციის პროექტშიც, რომელიც უშიშროების საბჭომ უარყო იმის გამო, რომ სსრ კავშირის დელეგაციამ სამართლიანად მისცა ხმა ამ პროექტის წინააღმდეგ. ამ პროექტში მოხსენებული იყო „კომუნისტური სამხედრო ნაწილები", მაგრამ არაფერი არ ყოფილა ნათქვამი იმაზე, რომ ესენი არიან მთავრობის ჯარის ნაწილები. მაშასადამე, — თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, — იმის განცხადება, რომ ეს არის საკითხი, რომელიც უკვე განიხილა უშიშროების საბჭომ, მოკლებულია საფუძველს. ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ეს საკითხი განხილულ იქნას გენერალურ ასამბლეაში, და წინადადება შეიტანა — მოიხსნას ეს საკითხი გენერალური კომიტეტის განხილვიდან.

ავსტრალიის წარმომადგენელი (გენერალური ასამბლეის ვიცე-თავმჯდომარე) ამტკიცებდა, რომ ექვსი დელეგაციის მიერ წარმოდგენილი საკითხი სასწრაფოდ უნდა განიხილოს გენერალურმა ასამბლეამ. ასეთივე პოზიცია დაიკავა გომინდანელმა.

ამასთან დაკავშირებით გამოსულმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში განსახილველი საკითხის შეტანის სასარგებლოდ გომინდანელის „საბუთების" სრული უსაფუძვლობა. ამავე დროს ა. ი. ვიშინსკიმ გენერალური კომიტეტის ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ პოლიტიკურ კომიტეტში დიდიხანია აღარ განიხილავენ მეტად მნიშვნელოვან საკითხს „სსრ კავშირის პროტესტს ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის გამო". მას შემდეგ, რაც გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი, რომელმაც ჩამოაყალიბა თავისი ბრალდებანი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ ჩინეთის მიმართ აგრესიაში, ჩინეთის ტერიტორიის დაბომბვაში, ჩინეთის წყლებში შეჭრით ჩინეთის სუვერენიტეტის დარღვევაში, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ითხოვა მიეცათ მისთვის 24 საათის ვადა ბრალდებაზე პასუხის მოსამზადებლად. მაგრამ ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში პოლიტიკური კომიტეტი არ შეკრებილა უმნიშვნელოვანესი საკითხის შემდგომი განხილვისათვის და ამის ნაცვლად ჩნდება ახალი წინადადება იმის საწინააღმდეგოდ, რომლის განხილვაც გენერალურმა ასამბლეამ უკვე დაიწყო. ეს ხომ უპრეცედენტო შემთხვევაა, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ, როცა ერთი საკითხი, რომლის განხილვაც უკვე დაწყებულია, უეცრად დაამყაყეს, დახშეს, ხოლო ამის ნაცვლად უკანა კარით შემოაქვთ რაღაც ახალი საკითხი, რომ გადააგდონ ის, რომელსაც უკვე განიხილავენ.

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ მტკიცე პროტესტი განაცხადა ექვსი დელეგაციის მიერ წამოყენებული საკითხის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ.

პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარე ურდანეტა (კოლუმბია) გამოვიდა ბუნდოვანი „განმარტებით" იმ კომიტეტის სხდომების შეწყვეტის შესახებ, რომელშიც უნდა განეხილათ ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის საკითხი. შემდეგ ექვსი დელეგაციის წინადადების დასაცავად გამოვიდა კუბის წარმომადგენელი — ამ წინადადების თანაავტორი.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. უპასუხა რა კუბის წარმომადგენლისა და პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარის გამოსვლას, მან დაწვრილებით დაასაბუთა საბჭოთა კავშირის დელეგაციის პოზიცია ექვსი დელეგაციის წინადადების გამო. საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ წინადადება გენერალური ასამბლეის სესიის დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანის შესახებ მოკლებულია საფუძველს, როგორც პროცედურის პრინციპების მიხედვით, ისე არსებითად.

ნამდვილად საქმე სრულიადაც არ არის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის რომელიღაც შეიარაღებული ძალების მოჩვენებითი ინტერვენცია, ვინაიდან კორეაში ჩინეთის არავითარი შეიარაღებული ძალები არ იმყოფებიან, არამედ საქმე ეხება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ახალ ცდას მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ თვით ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ნამდვილ ინტერვენციას, განაცხადა ა. ი. ვიშინსკიმ. მან მოაგონა კომიტეტს, თუ როგორ გაჩაღდა ამერიკის ინტერვენცია კორეაში, აგრეთვე როგორ შეიქმნა საფრთხე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის. ა. ი. ვიშინსკიმ ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ ამერიკის სამხედრო ავიაცია სისტემატურად ბომბავდა მანჯურიის სხვადასხვა პუნქტს, ხოლო ჩინეთის მთავრობის ყველა პროტესტი ამ არაადამიანური აგრესიული აქტების წინააღმდეგ პასუხგაუცემელი რჩებოდა. ეს დანაშაულებრივი მოქმედება ამერიკის სამხედრო ხელისუფალთა, რომლებიც მოქმედებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მითითებით, ჩინეთის სუვერენიტეტს რომ არღვევენ და ჩინეთის უშიშროებას საფრთხეს უქმნიან, ხაზგასმით აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, მეტად აღელვებდნენ, აღელვებენ და კვლავ იწვევენ ჩინელი ხალხის სამართლიანი გულისწყრომის ძლიერ გრძნობას.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა დაწვრილებით ილაპარაკა ამერიკის იმპერიალიზმის ტრადიციულ პოლიტიკაზე ჩინეთში და ცხადყო, რომ ამერიკის მმართველი წრეები XIX და XX საუკუნეების მანძილზე უცვლელად და თანმიმდევრულად ცდილობდნენ ჩინეთში გაბატონებას, ამერიკის მონოპოლიების ინტერესებისათვის ჩინეთის სრულ დამორჩილებას. ა. ი. ვიშინსკიმ ჩამოთვალა ის მიზეზები, რომლებმაც ჩინელი ხალხი აიძულეს ნებაყოფლობითი დახმარება გაეწია კორეელი ხალხისათვის უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და ამასთან აღნიშნა, რომ ჩინელი ხალხის ბედი მჭიდროდ დაკავშირებულია კორეელი ხალხის ბედთან, და ამიტომ კორეისათვის ჩინელი ხალხის ნებაყოფლობით დახმარებას და ამერიკის აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევას მორალური საფუძველი აქვს.

საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურმა გენერალურ კომიტეტს მოაგონა აგრეთვე შინაარსი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის მთელი რიგი ოფიციალური დოკუმენტებისა, რომლებიც იმას მოწმობენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ არაერთგზის სცადა მიეღწია კორეის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის. მაგრამ ამერიკის მმართველი წრეები ცდილობდნენ გაეფართოებინათ ეს კონფლიქტი, ვინაიდან კორეაში ამერიკის აგრესიის მთავარი მიზანია, ისე როგორც იაპონელი იმპერიალისტების აგრესიისა წარსულში, არა კორეა, არამედ ჩინეთი. აი რატომ ხდება სრულიად ნათელი, თქვა ა. ი. ვიშინსკიმ, რომ განცხადება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მხრივ რაღაც ინტერვენციის შესახებ ფარისევლურია და ეწინააღმდეგება ფაქტებს, ვინაიდან არ არსებობს არავითარი ინტერვენცია, არამედ არის დახმარება, რასაც ჩინელი ხალხის მილიონობით მასები უწევენ კორეელ ძმებს მათი დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში. მან ყურადღება მიაქცია აგრეთვე იმას, რომ ჩინეთში ვითარდება ჩინელი მოხალისეების მძლავრი სახალხო მოძრაობა თავიანთი მოძმე ხალხის დასახმარებლად, რათა ეს ხალხი იხსნან იმპერიალისტთა ჩაგვრისაგან, რათა დაიცვან თავისი საკუთარი უშიშროება.

დასასრულ ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ გენერალურმა ასამბლეამ განიხილოს ექვსი დელეგაციის მიერ წამოყენებული საკითხი, და, მაშასადამე, გენერალურ კომიტეტს არა აქვს საფუძველი რაიმე დადებითი რეზოლუცია მიიღოს ამ საკითხზე.

ა. ი. ვიშინსკის გამოსვლის შემდეგ მოხდა კენჭისყრა. ექვსი დელეგაციის წინადადების გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანას ხმა მისცა 10 დელეგაციამ, წინააღმდეგ— ორმა დელეგაციამ (სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია), ინდოეთისა და ირანის დელეგატებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. მიღებულ იქნა აგრეთვე გადაწყვეტილება, რომ, თუ გენერალურმა ასამბლეამ გადაწყვიტა თავის დღის წესრიგში შეიტანოს ეს საკითხი, რეკომენდებულ იქნას ამ საკითხის განხილვა პოლიტიკურ კომიტეტში. ამასთან დაკავშირებით ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელიც ილაშქრებს საერთოდ ამ საკითხის განხილვის წინააღმდეგ, მაშასადამე, ილაშქრებს იმის წინააღმდეგაც, რომ ეს საკითხი რომელიმე კომიტეტს გადაეცეს.

ამით დაიხურა სხდომა.

6 დეკემბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 6 დეკემბერი. (საკდესი). გენერალურმა ასამბლეამ თავის დღევანდელ პლენარულ სხდომაზე 51 ხმით 5 ხმის (სსრ კავშირი, ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, უკრაინის სსრ და ბელორუსიის სსრ) წინააღმდეგ (სამმა თავი შეიკავა) მოიწონა ექვსი დელეგაციის წინადადება იმის შესახებ, რომ დღის წესრიგში შეტანილ იქნას და პოლიტიკური კომიტეტის განსახილველად გადაეცეს საკითხი, რომელსაც ეწოდება „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალური სახალხო მთავრობის ინტერვენცია კორეაში".

კორეის ამბები

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 8 დეკემბრის ცნობაში ნათქვამია, რომ სახალხო არმიის ჯარები და ჩინელი მოხალისენი მთელ ფრონტზე განაგრძობდნენ ამერიკელთა და სამხრეთკორეელთა ჯარების დევნას, რომლებიც უკან იხევენ.

თურქეთის ეგრეთწოდებული „მოხალისეთა" ბრიგადის ბედი კორეაში

ნიუ-იორკი, 7 დეკემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, კორეის სახალხო არმიის ნაწილებმა და ჩინელმა მოხალისეებმა მთლიანად გაანადგურეს თურქთა ბრიგადა, რომელიც თურქეთის მთავრობამ ვაშინგტონის მოთხოვნით გაგზავნა კორეაში. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის" კორესპონდენტი ბიგარტი აღნიშნავს, რომ თურქთა ბრიგადის პოზიციები განადგურებულ იქნა შეტევაზე გადასული ჩრდილოეთკორეელთა და ჩინელთა ჯარების მიერ და, ბოლოს, ბრიგადა გაიქცა. „წინანდელ ბრძოლებში, — აღნიშნავდა კორესპონდენტი, — ბრიგადამ უდიდესი ზარალი ნახა". გაზეთი „ნიუ-იორკ ჯორნელ ენდ ამერიკენი" წერს, რომ თურქთა ბრიგადამ „შეწყვიტა არსებობა როგორც საბრძოლო შენაერთმა".

ამერიკელთა სარდლობამ თურქი ჯარისკაცები საზარბაზნე ხორცად გამოიყენა, რადგან აიძულა მათ დაეფარათ თავიანთი მთავარი ძალების უკანდახევა. ამის შედეგად ბრიგადა თითქმის მთლიანად განადგურებულ იქნა. აღნიშნავენ, რომ თურქთა ჯარების ზარალი მარტო მოკლულთა სახით უდრის 2 ათას ჯარისკაცსა და ოფიცერს. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კორეიდან იუწყებოდა, გავრცელებული ხმის მიხედვით, თურქთა ბრიგადის მეთაურმა თახსინ იაზიჯიმ „თავი მოიკლა".

თვით თურქეთის პრესა და რადიო, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ დაფარონ ნამდვილი ფაქტები კორეაში თურქთა ბრიგადის განადგურების შესახებ, იძულებული არიან აღიარონ ის უდიდესი ზარალი, რაც ბრიგადას მოუვიდა. ტელეპრესის სააგენტოს ცნობით, ანკარის რადიოს კომენტატორმა არზიკ შერიფმა განაცხადა, რომ კორეაში „დაიღუპა ბრიგადის პირადი შემადგენლობის დაახლოებით 40 პროცენტი".

ამერიკის თვითმფრინავებმა კვლავ დაარღვიეს ჩინეთის საჰაერო საზღვრები

პეკინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, არასრული ცნობებით, 25 ნოემბრის 19 საათიდან და 40 წუთიდან 30 ნოემბრის 19 საათსა და 10 წუთამდე გასულ პერიოდში კორეაში მყოფი ამერიკელთა აგრესიული ძალების 230 ბომბდამშენმა და ავიაგამანადგურებელმა 68-ჯერ დაარღვიეს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო საზღვრები.

დაფრინავდნენ რა ქალაქ ანდუნის თავზე, აგრეთვე ანდუნის, კუანდიანის, ძიანის, ჩანბაის, ლინძიანის, ძინჩუანის, ტუნხუას და ხუანჯენის მაზრებში, ამერიკის თვითმფრინავებმა 17-ჯერ მოახდინეს დაბომბვა და ატეხეს ტყვიამფრქვევის სროლა. სროლის შედეგად დაიჭრა ორი ჩინელი და ზარალი მოუვიდა ადგილობრივი მოსახლეობის ქონებას.

25 ნოემბერს 19 საათსა და 55 წუთზე ამერიკის ორმა თვითმფრინავმა ოთხი ბომბი ჩამოაგდო კუანდიანის მაზრის ჯანტიანის რაიონის სოფელ სიპინძეში. სოფლის მცხოვრები, გვარად სუნ ხუნ-მეი, მკერდში დაიჭრა.

28 ნოემბერს 19 საათსა და 44 წუთზე ამერიკის ორმა თვითმფრინავმა მოახდინა საზვერავი გაფრენა ძიანის მაზრის სოფელ დიკოუზე და 10 თვითმფრინავმა გადაუფრინა სოფელ ანძიკოუს, რომელსაც მათ სროლა აუტეხეს. შემდეგ ამერიკის თვითმფრინავები გამოჩნდნენ სოფელ სინანში, სადაც ჩამოაგდეს ხუთი ბომბი და რამდენიმე სახლი დააზიანეს.

30 ნოემბერს 07 საათსა და 50 წუთზე ამერიკის სამი თვითმფრინავი გამოჩნდა ძიანის მაზრის სოფელ კუშანში. მათ ბომბები დააყარეს ჩინეთის ტერიტორიას მდინარე იალუძიანის გასწვრივ, აგრეთვე ხიდს. ამის შედეგად დაიჭრა ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ გამოიძია ჩინეთის საზღვრების ყველა ეს დარღვევა და ოქმი შეადგინა.

ამერიკის შეერთებული შტატები ამზადებენ გერმანიის ჯარების გაგზავნას კორეაში

ბერლინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). გაზეთი „დერ მორგენი" მაინის ფრანკფურტიდან მიღებულ ცნობაში წერს:

„საქმეს გაცნობილი წრეების ცნობათა მიხედვით, კორეაში ამერიკელთა დამარცხებასთან დაკავშირებით და იმის შედეგად, რომ ამერიკელები ხაზგასმით აღნიშნავენ კორეაში ახალი ჯარების გაგზავნის აუცილებლობას, დაჟინებით ვრცელდება ხმები, რომ გათვალისწინებულია გაიგზავნოს კორეაში ამერიკელთა მიერ შექმნილი „მუშათა რაზმების" სახით შენიღბული დასავლეთ გერმანიის ჯარები.

ამერიკის შეერთებულ შტატებსა, საფრანგეთსა და ინგლისს შორის არაოფიციალური შეთანხმების საფუძველზე უკვე წარმოებს დასავლეთ გერმანიის ჯარების მომზადება კორეაში გასაგზავნად. ამ შეთანხმების თანახმად, ამერიკელებმა იკისრეს ამ ეგრეთწოდებული „მუშათა რაზმების" ჩამოყალიბება, შეიარაღება და გაწვრთნა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ჰიტლერული განსაკუთრებული ნაწილების ყოფილ მოსამსახურეთა შეგროვებას, რომლებსაც იყენებდნენ პარტიზანთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ამასთან დაკავშირებით ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევად შემცირდა სამხედრო სამსახურში შესვლის მსურველთა რიცხვი. ახალგაზრდა გერმანელები უფრთხიან კორეაში გაგზავნას. სულ უფრო გარკვეულ ხმებთან დაკავშირებით უკვე აღარავის სჯერა ამერიკელთა დაპირება იმის შესახებ, რომ ეს რაზმები გამოყენებულ იქნება მხოლოდ „გერმანელთა მიწა-წყალზე".

ვიეტნამის სახალხო არმიის წარმატება

პეკინი, 7 დეკემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს ცნობით, ნოემბერში ვიეტნამის სახალხო არმიისა და სახალხო ლაშქრის ნაწილები ყველა ფრონტზე განაგრძობდნენ შეტევით ბრძოლას საფრანგეთის ჯარების წინააღმდეგ. ჩრდილოეთ ვიეტნამის მთიან რაიონებში ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა გაათავისუფლეს 18 ქალაქი და დასახლებული პუნქტი, მათ შორის პროვინციის მთავარი ქალაქი ლაო-კაი, ქალაქები ხუნგ-ხოა (ფუ-ტოს პროვინციაში) და ხაი-ფუნი (მონ-კეის ჩრდილო-დასავლეთით). ლაო-კაის რაიონში წარმოებული ბრძოლების მსვლელობაში ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა გაანადგურეს მტრის ორი ბატალიონი და ხელთ იგდეს დიდი დავლა. 11 და 12 ნოემბერს ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა ორჯერ წარმატებით მიიტანეს იერიში ქალაქ მონ-კეიზე, ამასთან მოსპეს მტრის მთელი რიგი საყრდენი პუნქტები ქალაქის მისადგომებთან. ამჟამად მონ-კეის რაიონში გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს.

წითელი მდინარის აუზში ნოემბრის მეორე ნახევრის განმავლობაში სახალხო არმიის ნაწილებმა რამდენიმე იერიში მიიტანეს საფრანგეთის ჯარების პოზიციებზე სონგ-ტაიში, ნამდინში, ტაი-ბინსა და ხა-დონგში და გაათავისუფლეს რამდენიმე ქალაქი, მათ შორის დონგფუ და ენ-მაი (ტაი-ბინისა და ხა-დონგის პროვინციებში).

ორი თვის განმავლობაში, 15 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე, ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილები, ჩრდილოეთ საზღვრისპირა რაიონებში დიდ შეტევით ოპერაციებთან ერთად, აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ეწეოდნენ სამხრეთ ვიეტნამში, რის შედეგადაც დაჭრილ და მოკლულ იქნა 1.230 ფრანგი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს 500 ტონა საომარი მასალა და ხელთ იგდეს ამდენივე.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს ცნობით, ორი თვის განმავლობაში, რაც ოქტომბერში დამთავრდა, ხა-დონგის პროვინციაში (ხანოის ჩრდილო-დასავლეთით) ვიეტნამის სახალხო არმიის ნაწილებმა და მოლაშქრეებმა 40-ჯერ გაუმართეს ბრძოლა ფრანგებს და ამ ბრძოლებში გაანადგურეს 3 გამაგრებული პუნქტი, ტყვედ წაიყვანეს მტრის 300 ჯარისკაცი და მოსპეს ან ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა.

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „დაუპატიჟებელი სტუმრები" (მე-5 აბ.); **რუსთაველის სახელობის** — „დაუვიწყარი 1919 წელი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ურიელ აკოსტა"; **გრიბოედოვის სახელობის** — „პატიოსნება" (მე-15 აბ.); **სომხური დრამის** — „მზის დაბნელება"; **მუსიკალური კომედიის** — „მზის დაბნელება" (ფილარმონიის საზამთრო თეატრში); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „გამოქცევა" (42 აბ. 8 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „პოლკის შვილი" (35 აბ. 10 ს.), „ესპანელები" (10 აბ. 7 ს.); **ხანკულტურის** — „შეხვედრა ელბაზე"; **ცირკი** — დიდი საცირკო წარმოდგენა.

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ამირანი", „იხანი" — „მუსორგსკი"; **„ოქტომბერი", „სპარტაკი", „თბილისი", 26 კომისრის სახელობის** — „სკანდალი კლოშმერლში"; **„კომკავშირელი"** — „ღმერთთა ბჭობა"; **„კოლმეურნე"** — „არსენა" (ქართული ვარიანტი); **დიდუბე** — „ვენელი ქალიშვილები".

მოქალაქე **ალექსანდრე სილოვანის-ძე გაგნიძემ**, მცხოვრებმა საბჭოს ქ. № 185-ა, აღძრა საქმე მაგისტრალის ქ. № 85 მცხოვრებ მოქალაქე **ეუნია ანთიმოზის ასულ აბაიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-3 უბნის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი
აცხადებს, რომ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 28 დეკემბერს, დღის 12 საათზე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ფილიალის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 29) ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მიხეილ გრიგოლის-ძე გველესიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მრავალწლიან სუბტროპიკულ ნარგავთა (ჩაი, ლიმონი, ევკალიპტი) ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი".**
ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ნ. ხ. იაშვილი** და ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **მ. ა. ახათიანი.**
სადისერტაციო შრომის გაცნობა შეიძლება ყოველდღე ეკონომიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

ი. ხუციშვილი, გ. ციცქიშვილი, ლ. კალანდაძე, გ. შავიშვილი, გ. იაშვილი, გ. დონაძე, დ. ჩხაიძე, ლ. ტიტვინიძე, პ. გოლეთიანი, ბ. გორდეზიანი, შ. ჯიჯიეიშვილი, ა. ლევანიაშვილი, ი. ჯაფოშვილი, გ. გორდელაძე თანაგრძნობას უცხადებენ მ. არუცევას მისი მამის **ვასილის** გარდაცვალების გამო.

თბილისის ნავთობის ტექნიკუმის პედპერსონალი და მე-4 კურსის I ჯგუფის სტუდენტები იუწყებიან ამავე ტექნიკუმის სტუდენტ **ვალენტინა ნიკოლოზის ასულ გულდედავას** გარდაცვალებას.

დ. მამამთავრიშვილი, მ. კოშახიძე, შ. თოფურია, გ. აბაშიძე, ვ. გიორგაძე, ა. ერისთავი, ს. ბუაჩიძე, გ. ოდიშვილი, ე. წვერავა თანაგრძნობას უცხადებენ დოცენტ თ. ჟვანიას მისი მამის **ონისიმე ერასტის-ძე ჟვანიას** გარდაცვალების გამო.

იოსებ ინაშვილი იუწყება მეგობრის **ონისიმე ჟვანიას** გარდაცვალებას.

ძმა კონსტანტინე, რძალი ნინო, სიმონ, სოფიო, ქეთევან ჩერქეზიშვილები, და ანიკო, სიძე აკაკი შვილით ავაქიშვილები იუწყებიან **შალვა ნიკოლოზის-ძე ჩერქეზიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII, ბოჟამში (კასპის რ.).

მშობლები ალიოშა, ლიდა, ძმები თენგიზ, ზაური, ბაბუა ვასილ, მამიდები ტატიანა, მარიამ, ბიძები ამბროსი ოჯახით და იაშა იუწყებიან **მურმან ალექსანდრეს-ძე მარშანიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII, ზემოხეთში (ჩოხატაურის რ.).

მეუღლე დარიკო, შვილი დათიკო, რძალი ელენე, შვილიშვილი მზია იუწყებიან **ბესარიონ ლუკას-ძე მაჩიტიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII ზესტაფონში.

პ. აბრამია, თ. კილაძე, ე. ივანიშვილი, ც. ჩხეიძე, ნ. კაკუშაძე, შ. იამანიძე თანაგრძნობას უცხადებენ მარო არუცევას მისი მამის **ვასილ ქრისტეფორეს-ძე არუცევის** გარდაცვალების გამო.

შვილი ცაციკო, ჟორა ნადარეიშვილი ოჯახით, დები თამარ, შუშანა, ნადია ოჯახებით იუწყებიან **ვერა სოლომონის ასულ ნადარეიშვილი-დადიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. გამოსვენება 10-XII, 2 ს. კალინინის, 16.

მ. ა. მეგრელიშვილი, ზ. ა. კვაჭაძე, გ. მ. დემბრიშვილი, ო. დ. ქინქლაძე, კ. ნ. ცხვედაძე, შ. ზ. ბერიანიძე, ი. ი. სარაჯიშვილი, ი. ი. მხეიძე, ტ. ვ. ჩაჩანიძე, შ. ა. ხელაშვილი, გ. ქ. თოდრია, თ. გ. საანიშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ქ. სალუქვაძეს მისი მამის **არტემ გიორგის-ძე სალუქვაძის** გარდაცვალების გამო.

შვილები გურამ და ვახტანგ ვადაჭკორიები იუწყებიან ექიმ **არსენ სიმონის-ძე ვადაჭკორიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7½ ს. გამოსვენება 10-XII, 3 ს. მელიქიშვილის, 47.

ე. ბურჭულაძე, შ. კეკელია, ვ. ჯანელიძე, დ. მაჭავარიანი, ე. თაბუკაშვილი, ნ. მიქელაძე, ნ. ამირაგოვა, ი. თურმანიძე, გ. სულაქველიძე, ნ. კაპანაძე, თ. ჩხიკვაძე, პ. მომცელიძე თანაგრძნობას უცხადებენ ე. სალუქვაძეს მისი მამის **არტემ სალუქვაძის** გარდაცვალების გამო.

თბილისის მე-15 პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ კონსტანტინე აბაქელიას მისი დეიდის **ლიზა ბესარიონის ასულ ნადარეიშვილის** გარდაცვალების გამო. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. გამოსვენება 10-XII, 2 ს. ბარნოვის, 129.

საქართველოს კ. პ. (ბ) ონის რაიკომის და რაისაბჭოს აღმასკომის მუშაკები თანაგრძნობას უცხადებენ კ. ქოქოსაძეს **გრიგოლ სიმონის-ძე ქოქოსაძის** გარდაცვალების გამო.

მშობლები თინა ავალიანი და ვახტანგ კაკიაშვილი, ძმა გელა იუწყებიან, რომ 10-XII, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **არდევან ვახტანგის-ძე კაკიაშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სერგო კერესელიძეს მისი დედის **ეკატერინე კერესელიძის** გარდაცვალების გამო.

თამარ და ივანე ასათიანები, ცუცა და ალექსანდრე მელაძეები, მერი და შოთა ხარბედიები შვილებით იუწყებიან, რომ 10-XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ციალა გელოვანის** პანაშვიდი.

საქპაპრომის სამშენებლო-სარემონტო კანტორის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მარო და გიორგი ჭალაგანიძეებს **ლიზა ბესარიონის ასულ ნადარეიშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე ოლია, შვილი სულიკო, ძმები შალვა, ვალერი, პავლე, დები ლიზა, მარო, ბაბუცა იუწყებიან **მიხეილ სოლომონის-ძე სანოძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-XII წულუკიძეში, ბერიას, 49.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო კანტორის თანამშრომლები იუწყებიან **არტემ გიგოს-ძე სალუქვაძის** გარდაცვალებას.

დედა მინადორა, მეუღლე ჟენია, შვილი მაგული, ძმები გიორგი, ალექსანდრე, ძმისწულები შუქრი, ცისანა, რძალი ქსენია გოგიავა, და ვერა ხენკოვა იუწყებიან **ვანო ალექსანდრეს-ძე გოგიავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-XII, 6 ს. წულუკიძეში, მოლოტოვის, 30.

მე-4 სტომატოლოგიური პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ მ. სალუქვაძეს მისი ბიძის **არტემ გიორგის-ძე სალუქვაძის** გარდაცვალების გამო.

ბიძა ვალოდია, ბიცოლა მერი, ბებია ანეტა, ბიძაშვილები ოთარ, ნოდარ ჭავჭანიძეები იუწყებიან, რომ 10-XII, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ციალა ვიქტორის ასულ გელოვანის** პანაშვიდი.

შვილი თამარ გონიაშვილი, სიძე ნიკოლოზ ცერცვაძე, დები ელენე, ლიზა სულხანიშვილები ოჯახებით იუწყებიან დამსახურებული პედაგოგის **ნატალია გონიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9-XII, 7 ს. გამოსვენება 10-XII, 2 ს. პლეხანოვის, 55/1.

მეუღლე დარია, გ. ხერხეულიძე, შ. ღლონტი, კ. უნგიაძე, ს. ბექიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 10-XII, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ვიქტორ ოსკარის-ძე ხტელის** პანაშვიდი.

მეუღლე თამარ, შვილები ინეზა, სოსო, გარი, ძმა პავლე, ბიძები გიორგი, სტეფანე, ნინო ბოჭორიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 10-XII, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **გიორგი იოსების-ძე ჯომარჯიძის** პანაშვიდი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და უფლაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80 84, მშრომელთა წერილების — 3 73-24, მორიგისა და გამომშვების — 3 81-65, გამომცემლობისა — 3 51 81, სტამბის დირექტორის — 3-77 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 17186